




**K** 215 873  
3

ბ. ხერაძე

**XVII-XIX საუკუნეების**

**ქართული  
მოგზაურები**





კობა ხარაძე

# XVII-XIX საუკუნეების ქართული მოგზაურები

გამომცემლობა „განათლება“  
თბილისი-1987

26. 8. Γ /2Γ/  
 910.2 /479.22/  
 ბ 256

წიგნში განხილულია XVII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაურების მიმოსვლა ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში; გაანალიზებულია მოგზაურთა შთაბეჭდილებების წიგნები გეოგრაფიული რაკურსით. ნაშრომს ახლავს სქემატური რუკა, რომელზედაც მოცემულია მოგზაურობის მარშრუტები.

წიგნი დაეხმარება მოსწავლეებსა და სტუდენტებს, აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიის ისტორიით დაინტერესებულ ყველა პირს.

რეცენზენტები: ისტორიულ მეცნ. კანდა. ქვ. ჩხატარაიშვილი  
 გეოგრაფიულ მეცნ. კანდა. კ. ლიფონავა

.4306020900-084  
 X M-602/08/-87 105-87

© გამომცემლობა „განათლება“, 1987

## ქართველი მოგზაურები მსოფლიო არენაზე

ქართული სამოგზაურო ისტორია ახალ სიმაღლეზე ავიდა XVII — XIX საუკუნეებში. შემორჩენილია ამ პერიოდის მოგზაურთა ჩანაწერები, რითაც იწყება აღმავლობის პერიოდი ქართულ სამოგზაურო ისტორიაში. ქართველმა მოგზაურებმა მოიპოვეს და აღწერეს ევროპის, აზიისა და აფრიკის რიგი სახელმწიფოები, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს მოგზაურობა ჯერ კიდევ არ იყო თვითმიზანი, იგი ემსახურებოდა სახელმწიფო ინტერესებს (ვაჭრობა, დიპლომატია, სამხედრო საქმე), თუმცა ამ მოგზაურებს თავიანთი კერძო ინტერესებიც ამოძრავებდათ და ორივე ამოცანას წარმატებით წყვეტდნენ.

XVI საუკუნიდან გაღრმავდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ პოზიციებზე დაშლის პროცესი, რომელიც შემდგომშიც გრძელდებოდა. ამის გამო საქართველო შინაფეოდალური ომების ასპარეზად გადაიქცა. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ უცხოელი მოძალადეები. არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ქართველი მეფეები ცდილობდნენ სვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას; ხშირად იგზავნებოდნენ ქართველი ელჩები დიპლომატიური მისიით შორეულ ქვეყნებში. მოგზაურობის დროს ისინი აკვირდებოდნენ ქვეყნის ბუნებას, მეურნეობას, ეთნოგრაფიას და სხვ. და თავიანთი შთაბეჭდილებები ქალაქებში გადაჰქონდათ. დღეს კი ეს ჩანაწერები ეროვნული კულტურის საგანძურია.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში კულტურის სარბიელზე სამი დიდი მეცნიერი მოღვაწეობდა: სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე და ვახუშტი ბაგრატიონი. სულხან-საბა ორბელიანი ვახტანგ მეექვსის მასწავლებელი იყო, ხოლო თვით ვახტანგი არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდის აღმზრდელი და მოძღვარი. სწორედ მისმა კულტურულ-მეცნიერულმა მოღვაწეობამ შეუმზადა ნიადაგი ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც მეცნიერის, წარმატებას.

XVIII საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობდა კარტოგრაფი, მოგზაური და დიპლომატი ტიმოთე გაბაშვილი, რომლის ნაშრომები დღესაც დიდ

ინტერესს იწვევს, საუკუნის მიწურულს ქართველ მოგზაურთა შორის არიან იონა გედევანიშვილი და რაფიელ დანიბეგაშვილი.

სწორედ XV III საუკუნეში დაიწყო საქართველოში მეცნიერული გეოგრაფიის განვითარება, რომლის ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება ვახუშტი ბაგრატიონი. მშფოთვარე პოლიტიკურ დროში აღმავლობას განიცდიდა შოთა რუსთაველის შემდგომი ხანის დაქვეითებული მეცნიერება.

მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის მიუხედავად, იმ დროის საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში: თბილისში დააარსდა სტამბა, გამოიკვლიეს და წესრიგში მოიყვანეს „ქართლის ცხოვრების“ არსებული ნუსხები, დაიწერა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება, ითარგმნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, დამზადდა აგეგმვის ხელსაწყოები, შეიქმნა საქართველოს ტერიტორიის კარტოგრაფიული საფუძველი, დაიწერა ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი, აღიწერა საქართველოს ზოგი მხარის მოსახლეობა და ბევრი სხვა.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მთელს აღმოსავლეთ საქართველოს სპარსელები დაეპატრონენ, ხოლო შემდეგ — ოსმალები. რა ხერხს არ მიმართა ვახტანგ მეექვსემ, მაგრამ ვერაფერი გააწყო ერთი პერიოდი საგარეო ურთიერთობის მოგვარებით სცადა ქართლის მდგომარეობის შემსუბუქება, ოსმალებს დიდძალი განძი გაუგზავნა მშვიდობის გამოსასყიდად, მაგრამ ამაოდ. ასევე ამაოდ დაშვრა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში დახმარების სათხოვნელად ჩასული მსცოვანი სულხან-საბა ორბელიანი.

ჯერ კიდევ 1563 წელს კახეთის მეფე ლევანმა მოსკოვში ელჩები გაგზავნა დახმარების სათხოვნელად. მალე ივანე მეფემ რუსთა რაზმი გამოგზავნა და კახეთის ციხე-სიმაგრეებში ჩააყენა. იმავე საუკუნის 80-იან წლებში განახლდა სამხედრო, პოლიტიკური ურთიერთობა. 1585 წელს კახეთის მეფე ალექსანდრეს რუსეთის მეფე თევდორემ სიგელი გამოუგზავნა, მფარველობა და პოლიტიკური კავშირი შესთავაზა, ამდენად, რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო პირველი ხელშეკრულება. მართალია ეს პირობები ვერ შესრულდა, მფარველმა საჭირო დახმარება ვერ აღმოუჩინა კახეთს, მაგრამ ქართველ მოღვაწეებს რუსეთზე ორიენტაციის კურსი არ შეუცვლიათ. XVII საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების შედეგად, შეიქმნა ქართველთა ახალშენი მოსკოვში.

XVII საუკუნეში ეგრობაში დაბლობატიური მისიით გაიგზავნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, XVIII საუკუნის ათიან წლებში—სულხან-საბა ორბელიანი, XVIII საუკუნის ბოლოს კი, აზიის ქვეყნებში, რაფიელ დანიბევაშვილი.

ქვემოთ, შევეცდებით ვაჩვენოთ XVII - XIX საუკუნეების ქართველ მოგზაურთა მარშრუტები, მათი მიზნები და ამოცანები წარმოვადგინოთ მათივე ჩანაწერებითა და საბუთებითა შეგადგასოთ მოგზაურთა დაკვირვებები ბუნებაზე, ეკონომიკასა და გეოგრაფიაზე.

### ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ეგრობის გარშენა

XVII საუკუნის საქართველოს ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია დიპლომატ-მოგზაურს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს. მან მოიარა ეგრობის რიგი სახელმწიფოები და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები: იგი ეწეოდა სასულიერო, დიპლომატიურ და კულტურულ მოიქცაწეობასა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იყო აგრეთვე პირველი ქართული სტამბის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი იტალიაში.

კორნელი კეკელიძის გამოკვლევით, ნიკიფორე ირბახი (იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) დაიბადა 1585 წელს და გარდაიცვალა 1658 წელს იგი კახეთის ერთ-ერთ უძლიერეს სათავადო გვარის—ჩოლოყაშვილთა წარმომადგენელია. ნიკოლოზის მამა—ომანი გარის უფროსი ყოფილა, დედა კი ბარბარე—არაგვის ერისთავის ასული.

ნიკოლოზის ბავშვობის წლებში კახეთის სანჯუკი პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ვზაზე იდგა. ალბათ, ამან, შეეწყო ხელი იმას, რომ ნიკოლოზი მშობლებმა განათლების მისაღებად იტალიაში გაგზავნეს და ბერძნულ სკოლაში მიაბარეს თორმეტი წელი დაჰყო ნიკოლოზმა იტალიაში, შეისწავლა ეგრობული ენები და 1608 წელს საქართველოში დაბრუნდა. ნიკოლოზი რომში ბერად აღიკვეცა და საერისკაცო სახელი ნიკოლოზი ნიკიფორედ შეიცვალა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის შესახებ მასალები შემონახულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სადაც დაცულია ზოგიერთი ხელნაწერი და ხელნაწერთა მინაწერები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ჩოლოყაშვილის შესახებ. გარდა ამისა, კატეგანის (იტალია) არქივში დაცულია საინტერესო მასალები ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ელჩობის შესახებ ამასთან არსებობს წერილები, რომლებიც საქართველოდან კათოლიკე მი-

სიონერების მიერ იგზავნებოდა იტალიაში. წერილებში არაერთგზის მოხსენიებულია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილიც. ცნობებს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილზე ვხვდებით აგრეთვე ბერძენი პატრიარქის დოსითეოსის მასალებშიც, რუსი ელჩების ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ჩანაწერებში, ტოლოჩანოვის დღიურებში და სხვა.

XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი ენციკლოპედისტის იოანე ბატონიშვილის თქმით, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ყოფილა მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი, კახეთის მოძღვართ მოძღვარი, ხოფისა და კოცხურის მონასტრების გამგებელი სამეგრელოში, და ბოლოს იერუსალიმში—ჯვრის მონასტრის წინამძღვარი და გოლგოთის არქიმანდრიტი. იოანე ბატონიშვილი წერს: „ესე წარვიდა (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — კ. ზ.) წმინდას იერუსალიმად და მოილოცა წმინდა ადგილნი, და მუნვე ჯვარის მონასტრისა შინა განფინნა სწავლანი ქართველთა ბერებთადმი, ამან მოვლო ეფრატის გარემონი და აფრიკა, ამან აღწერა მშვენიერად მიმოსვლა თვისი; და მერე უქადაგა მეგრელთა, იმერთა, ქართველთა და კახთა, და განფინა სწავლანი თვისნი, და მერე კეთილისა სათნოებითა გარდავლნო წელნი თვისნი.“ ეტქვს გარეშეა, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოგზაურობის შთაბეჭდილებათა ჩანაწერები შემორჩენილი იყო XIX საუკუნის დასაწყისშიც, სამწუხაროდ ამ ძვირფასმა მასალამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ რომში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს კარგი განათლება მიუღია, შეუსწავლია ენები; ერთ-ერთი მისიონერის ვადმოცემით, ნიკოლოზმა ქართულისა და მეგრულის გარდა შვიდი ენა იცოდა (ბერძნული, თურქული არაბული, რუსული, ფრანგული ესპანური და იტალიური). ამასვე აღნიშნავდა ნიკოლოზის თანამედროვე, ჯვრის მონასტრის დიაკვანი გრიგოლი.

რომიდან ნიკიფორე/ნიკოლოზი/კახეთში დაბრუნდა და სათანადო თანამდებობა დაიკავა მეფის კარზე—გაზდა თეიმურაზ მეფის მოძღვარი. ეს ის პერიოდი, როცა შაჰ-აბასი დიდძალი ჯარით ქართლ-კახეთისაკენ გამოემართა. 1614 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასი მრავალრიცხოვანი ჯარით კახეთს შემოესია და ქვეყანა ააოხრა. კახეთის მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და თავი შეაფარეს იმერეთის მეფეს. 1616 წლის ადრიან გაზაფხულზე შაჰ-აბასი უზარმაზარი ლაშქრით კვლავ გამოემართა საქართველოსაკენ. ამჯერად ბრძოლა მთელ წელიწადს გრძელდებოდა. მტერმა მოსპო და გაანადგურა სასახლეები, ეკლესია და მონასტრები, გაჩეხა ვენახები, ბაღები. ბრძოლა-

ში დაიღუპა დიდძალი ქართველობა, მრავალი ტყვედ წაიყვანა ირანში, დაცარიელებულ ადგილებში შაჰ-აბასმა თურქმანული ტომები ჩამოასახლა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა ჯერ კიდევ 1614 წელს დატოვა საქართველო და იერუსალიმს გაემგზავრა. წმინდა ადგილების მოსახილველად. იერუსალიმში ნიკოლოზი თითქმის 13 წელი დარჩა.

მეფე თეიმურაზ I მოკავშირეებს ეძებდა. ელჩების საშუალებით მიმართა ოსმალეთს (1620 წელს კი პირადად ეწვია ხონთქარს), რუსეთს მაგრამ დახმარება ვერ მიიღო, ბოლოს გადაწყვიტა ევროპის ქვეყნებისათვის მიემართა. ელჩად მეფემ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი შეარჩია.

1626 წელს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი დებულობს დავალებას — დიპლომატიური მისიით გაემგზავროს ევროპაში, ესტუმროს რომის პაპს, ესპანეთის მეფესა და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებს, იმავე წლის ნოემბრის ბოლოს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი გაემგზავრა ევროპაში. ზოგის ვარაუდით იგი ევროპაში პირდაპირ იერუსალიმიდან გაემგზავრა, მაგრამ ვფიქრობთ ეს ვარაუდი სწორი არ არის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს საკმაოდ ბევრი დავალება ჰქონდა მიცემული, ბევრ სახელმწიფო ხელმძღვანელთან ჰქონდა შეხვედრა დავალებული და ამდენად ბევრი სახელმწიფოც უნდა მოეგლო. ამიტომ შეუძლებელია იერუსალიმიდან გამგზავრებულიყო.

არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: „მესინაში ჩამოვიდა ერთი კეთილშობილი ქართველი, სახელად ნიკიფორე ირბახი, რომელიც იყო საქართველოს უპირველესი სენიორი უკეთილშობილესი გვარისა, სიყრმიდანვე ღვთის კულტით იყო გატაცებული და წმ. ბასილის (იტალიაში, სამონასტრო დაწესებულებებში ბერად აღიკვეცა) იგი გამოგზავნილი იყო მის მეფის თეიმურაზისაგან ევროპაში, რომ დახმარება ეთხოვა, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე სულიერი, სპარსეთის ჯარისაგან მთლად განადგურებული და უბედურებაში მყოფი საქართველოსათვის. მეფისაგან მას დავალება ჰქონდა ესპანეთის მეფესთან და პაპთან“.

მესინადან ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ნეაპოლში ჩავიდა, აქედან რომში უნდა წასულიყო, მაგრამ მოულოდნელად ესპანეთში გაემგზავრა. რატომ შეიცვალა მარშრუტი ცნობილი არ არის. 1627 წლის ზაფხულში ნიკოლოზი ესპანეთს ჩავიდა. იქ იგი დაბრკოლებას წააწყდა, ვერ მოახერხა ესპანეთის მთავრობასთან დაკავშირება.

ნიკოლოზი გაჩერდა ქალაქ მადრიდის სასტუმროში. ნეაპოლელი კათოლიკე ბერების დახმარებით მან შეძლო ესპანეთის სამეფო კარზე მიეღო როგორც სამეფო ელჩი. ამის შემდეგ ნიკოლოზი სასტუმროდან საცხოვრე-



ბლად ერთ-ერთ სასახლეში გადაიყვანეს და შესაფერისი პატივი სცეს, იგი ესპანეთის მეფემაც მიიღო როგორც საქართველოს ულჩი. იგივე არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ ნიკოლოზი „თავისი მეფის სახელით ესპანეთის მეფის მეგობრობას და რაიმე დახმარებას თხოულობდა, მისი მტრის სპარსეთის შაჰის დასამარცხებლად“. ქართველი ულჩი ესპანეთის „მეუღის კარიდან ძალიან კმაყოფილი“ დაბრუნდა.

ესპანეთში ვიზიტის შემდეგ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იტალიაში დაბრუნდა. ჩავიდა რომში და თავისი მისიის შესრულებას შეუდგა, რომში იგი კათოლიკური წესით მონათლეს. პაპმა აუღწიაზე მიიღო. ნიკოლოზმა მას თეიმურაზ მეფის წერილი გადასცა. წერილის ძირითადი აზრი და მიზანი ასეთი იყო: პაპს თეიმურაზი უნდა ეცნო საქართველოს კანონიერ მეფედ, კავშირი დაემყარებინა მასთან და საქორეობის შემთხვევაში მფარველობა და დახმარება გაეწია საქართველოსათვის.

თავის მხრივ, პაპი მოითხოვდა, რომ თეიმურაზ მეფეს მიეღო კათოლიკობა, დანარჩენ საკითხებზე კი შემდეგ ისაუბრებდნენ.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა მიიღწია, იმას, რომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე რომის პაპმა დაწერა წერილები და გაატანა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს ნეაპოლის ვიცე-მეფესთან, ფლორენციის ჰერცოგ ფერდინანდ მედიჩისთან, უნგრეთისა და ბოჰემიის მეფე ფერდინანდთან, პოლონეთის მეფე სიგიზმუნდთან, შვეციის მეფესა და საფრანგეთის მეფესთან.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს იტალიიდან საქარს ველოში წამოსვლისას გზად უნდა გამოეეღო საფრანგეთში, უნგრეთსა და პოლონეთში და სწვეოდ მათ მეთაურებს.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი რომში დაახლოებით ერთ წელ დაჩრია აქ იგი დაეხმარა იტალიელებს ქართული შრიფტის ჩამოსხმას და ქართული წიგნის დაბეჭდვაში. 1629 წელს პირველად დაიბეჭდა და გამოიცა ქართული წიგნი, ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი რომიდან 1628 წლის დამლევს გაემგზავრა. გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. გადაკვეთა თითქმის მთელი იტალია, ეწვია ტოსკანის ჰერცოგს, ფლორენციის დუქსს, ბოლონის ფერარას და მანტუის სამთავროთა მეთაურებს. აქედან გზა კვლავ ჩრდილოეთისაკენ განაგრძო, აერიდა ადრიატიკის ზღვის სანაპირო ქვეყნებს, რადგან იქიდან იწყებოდა თურქეთის სამფლობელოები. მან გადალახა ალპები, გაიარა საფრანგეთის ტერიტორია და ინგლისში ჩავიდა, აქედან კი გერმანიასა და ლიტვა-პოლონეთის სამეფოში, შემდეგ რუსეთში ჩავიდა და მოსკოვში

მოხვდა, მოსკოვში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ყოფნის შესახებ ზოგადი ცნობებია შემორჩენილი.

კათოლიკე მისიონერი ძამპი „სამეგრელოს აღწერაში“, რომელიც მას შარდენისათვის გადაუცია და რომელიც უკანასკნელს დაუბეჭდია თავის „მოგზაურობაში“, აღნიშნულია: იგი (ნიკიფორე ირბახი) საქართველოში ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარის წარმომადგენელია. არის სამოცდაათი წლისა, აქვს არქიმანდრიტის ანუ წინამძღვრის ხარისხი. მას უწოდებენ ჯვარის მამას, ხალხი მას დიდ პატივს სცემს, სამეგრელოს მთავრები ნიშნავენ მას ვეზირად ან ელჩად, რადგან იგი კარგად არის გარკვეული პოლიტიკაში და მრავალჯერ ყოფილა იერუსალიმში. შემოვლილი აქვს ეგროპა, ყოფილა სადრანგეთში, ინგლისში, ესპანეთში, პოლონეთსა და იტალიაში, სადაც ჩვენ პატრებთან ჩერდება ხოლმე. ქართულისა და მეგრულის გარდა იცის მრავალი ენა: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური. მან კათოლიკური სარწმუნოება პაპ ურბან მერვესაგან მიიღო; დიდ პატივს სცემს ჩვენს პატრებს“.

1629 წელს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი საქართველოში დაბრუნდა. ივლისში იგი უკვე იყო ოდიშის სამთავროში დადიანთან. აგვისტოში კი ქართლში, სადაც წარუდგა თეიმურაზ მეფეს და გადასცა რომის პაპის მიერ გამოტანებული წერილი. თეიმურაზ ძეფე წერილით კმაყოფილი დარჩენილა.

ამ პერიოდში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს მეფის კარზე მტკიცე მდგომარეობა ეკავა; მეფემ ის მეტეხის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნა, მაგრამ მალე იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. 1634 წლის 19 ნოემბერს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ოდიშის სამთავროში დაბრუნდა. აქ მან ხოფის საეპისკოპოსო ტაძრის წინამძღვრობა მიიღო.

ხოვის მონასტერში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს რუსი ელჩებისათვის უჩვენებია „ღვთისმშობლის პერანგი“ და სხვადასხვა „რელიკვია“. აღსანიშნავია, რომ „ღვთისმშობლის პერანგის“ არსებობა დადასტურებულია ხოფის ეკლესიაში, რის შესახებ ტიმოთე გაბაშვილი აღნიშნავს 1737 წლის იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) რუკაზე: „ხოფის მონასტერი, ყოვლად წმინდის პერანგი აქა ძეს“.

1642—1643 წლებში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა დატოვა სამთავრო და კვლავ შორეულ ქვეყანაში გაემგზავრა, ამჯერად ისევ იერუსალიმში. 1643 წლიდან იგი ქართველთა ჯვრის მონასტერში დასახლდა; სათავეში ჩაუდგა ჯვრის მონასტერს და მისი წინამძღვარი ანუ ჯვარის მამა გახდა.

ნიკოლოზი იქ 1649 წლამდე დარჩა და ამ მონასტრის ისტორიაში თვალსაჩინო კვალი დატოვა. თავისი მოღვაწეობის პერიოდში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ეწეოდა აღდგენით სამუშაოებს: განაახლებინა ჯვრის მონასტრის ფრესკები; იგი უკანასკნელი ღირსეული წარმომადგენელი იყო იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა შორის, თავისი დამსახურების გამო, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი დაუხატავთ ამავე მონასტერში-ამის შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა წლებში ცნობას გვაწვდის ცნობილი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი: „... ასევე და ცხორებულა მუნ ჯვარისა მამა ნიკოლოზ ყოფილი ნიკიფორე, ძე ომანისა ჩოლოყაშვილისა და დედით არაგვის ერისთავის ასულისა ბარბარესი, კაცი სახელოვანი, წინამძღვარი მეტეხისა ქალაქს და მოძღუართ-მოძღვარი კახეთს, ოდიშს-სოფელ კოცხერელი, და იერუსალიმს ჯვარის მონასტერს და გოლგოთის სამკვიდროსი-ჩვენისა არქიმანდრიტი“.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა საქართველოში შფოთისა და არეულობის პერიოდს ემთხვევა; ამან გამოიწვია ის, რომ იერუსალიმის ქართველთა წმინდა ადგილებში შემცირდა ქართველთა მოღვაწეობა. ძველები ძველდებოდა და ინგრეოდა, ან უცხო ხალხის ხელში გადადიოდა. „ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა, თავისი მაღალი ავტორიტეტისა და საქართველოს მეფე-მთავართაგან მხარდაჭერის მეოხებით, დროებით შეაჩერა იერუსალიმის ქართული კოლონიის სწრაფი გაპარტახების პროცესი“ (ე. მეტრეველი, 1956).

იმდენად დიდი იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ავტორიტეტი, რომ იგი პატრიარქმან თეოფანემ სიკვდილის წინ იერუსალიმის საპატრიარქო კათედრაზე თავის მემკვიდრედ დაასახელა. მაგრამ 1650 წელს სხვადასხვა მიზეზთაგან, იგი სამშობლოში დაბრუნდა და დასავლეთ საქართველოში დაიწყო მოღვაწეობა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი 1651 წელს იმერეთში იყო, უკანასკნელ წლებში კი სამეგრელოში. სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის კარზე უმაღლესი საეკლესიო თანამდებობას მიაღწია—დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მესვეური-პატრიარქ-კათალიკოსი გახდა. 1657 წლის 17 მარტს ლევან დადიანი გარდაიცვალა. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი თანამდებობიდან გადააყენეს და ციხე-კოშკში გაგზავნეს. ამის შემდეგ მან დიდხანს აღარ იცოცხლა, იქვე გარდაიცვალა 1658 წელს.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იყო ქართველი დიპლომატ-მოგზაური, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა XVII საუკუნის საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობაში.

## სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში

სულხან-საბა ორბელიანი იყო მწერალი, დიპლომატი, მოგზაური, ენციკლოპედისტი და საზოგადო მოღვაწე. იგი დიდ ქართველ ფეოდალთა შთამომავალია; მამის მხრივ ენათესავება ბარათაშვილ—ორბელიშვილთა უძველეს და უძლიერეს გვარეულობას, დედის მხრივ—არაგვის ერისთავთა ოჯახს. ის დაახლოებული იყო სამეფო კართან და ჩაბმული იყო ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში.

სულხანი ადრე ჩაება სახელმწიფო საქმიანობაში. ცნობილია, რომ ამ დროს გიორგი მეთერთმეტემ და არჩილმა ვერ შეძლეს ფეოდალთა დამორჩილება; მეფისა და დიდებულთა ურთიერთობა მწვავედებოდა. არსებული მდგომარეობა ერეკლეს გამეფების შემდეგაც გაგრძელდა. სწორედ მის დროს ქართლ-კახეთში განმტკიცდა ორანის ხელისუფლება. გიორგი ცდილობდა ტახტის დაბრუნებას; მის მხარეზე იყო სულხანიც, როცა გიორგი იმერეთს გაიხიზნა, სულხანიც თან გაჰყვა.

დევნილი სულხანი ერთხანს ახალციხეში აფარებდა თავს, ხოლო შემდეგ 1696 წელს-თავის სამკვიდროში. იგი, ქართლში გაბატონებული რეჟიმის პროტესტის ნიშნად, საგვარეულო მამულში ჩაიკეტა. მართალია, სულხანი ტანძირში (ბოლნისის რა.) გაიზარდა, მაგრამ უმეტესად ცხოვრობდა, მემკვიდრეობით მიღებულ უძველეს ნაქალაქარ დმანისში. 1698 წელს სულხანი ბერად შედგა და გარეჯში დამკვიდრდა. მისი პოლიტიკური თუ სამწერლო მოღვაწეობა იქაც არ შეწყვეტილა: მალე მან დატოვა გარეჯის უდაბნო და დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ჯერ ირანს, შემდეგ კი ევროპაში.

1713-1716 წლებში სულხან-საბა ორბელიანმა დიპლომატიური მისიით იმოგზაურა საფრანგეთსა და იტალიაში. ამ მოგზაურობის დროს მან დაწერა მემუარული ჟანრის ნაშრომი—ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. სულხან-საბას მოგზაურობა გამოწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებით: გარეშე მტრებით შეწუხებული ქართველი მესვეურნი ცდილობდნენ ქრისტიანულ სახელმწიფოებთან დაკავშირებას, რამდენჯერმე მიმართეს რუსეთის ხელმწიფეს, მაგრამ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთს, გართულებული საშინაო და საგარეო პირობების გამო, არ შეეძლო ირან-თურქეთის წინააღმდეგ აქტიურად გამოსულიყო

ამიერკავკასიაში, თავის მხრივირანი იძულებული გახდა შეეცვალა თავისი პოლიტიკა; ირანის შაჰმა გადაწყვიტა ქართლში გამაჰმადიანებული ქართველი მეფე დაესვა პირველი ასეთი მეფე ქართლში როსტომი იყო (1632—1658). როსტომის მემკვიდრედ გამოცხადდა ბაგრატიონების გვერდითი შტოს, მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი (სულხან-საბას პაპის სიძე). ამ პერიოდიდან ირანსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ამ ბრძოლამ განსაკუთრებული მკვეთრი ხასიათი მიიღო გიორგი მეთერთმეტის დროს. ამიტომ ირანმა ქართლის ტახტზე გამაჰმადიანებული ირაკლი პირველი გამოგზავნა. გიორგი მეთერთმეტის ირანთან შეერიგების შემდეგ, 1708 წლიდან ქართლის გამგებელი ვახტანგ VI გახდა. მალე იგი მეფედ აკურთხეს. ვახტანგ მეექვსემ კარგად იცოდა, რომ საქართველოს არ შეეძლო საკუთარი ძალებით მოზღვავებული მტრის მოგერიება. ამიტომ დახმარება სთხოვა რუსეთს, მაგრამ ამოდ; შემდეგ იძულებული გახდა დახმარება ევროპის ქვეყნებისათვის ეთხოვა. ამ მიზნით ვახტანგ მეექვსემ ევროპაში დიპლომატიური მისიით თავის აღმზრდელი—სულხან-საბა ორბელიანი გაგზავნა. უფრო ადრე კი სულხანი ისპაანშიც ყოფილა. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით: „... ეს (სულხან-საბა ორბელიანი— კ. ხ.) დაშვრა ფრიად მეფეთა მსახურებისათვის ისპაანს ყენთან წასვლით“. 1711 წელს სულხანი ხვარასანს გამგზავრებულა.

1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანი დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. წასვლამდე მან მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რომელსაც აღიარებდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები. მასთან ერთად ქ. გორიდან გაემგზავრა მისიონერი რიშარი, რომელიც თითქმის მთელი მოგზაურობის მანძილზე თან ახლდა. როგორც ჩანს, სულხანი ფარულად გაემგზავრა საქართველოდან. როგორც რიშარის ჩანაწერებიდან ირკვევაროცა შავი ზღვის სანაპიროებამდე მივიდნენ, სულხანმა უთხრა რიშარს: „იდი ხანია ხელმწიფის /ლუდოვიკოს— კ. ხ. / ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არც მექნებაო და ამიტომ მთხოვა თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან რაც ამაგი მისიონერებს მივაგე, თუ დამიფასო, თან წამიყვანეო“.

რომელი ნავსადგურიდან გავიდნენ, არ არის ცნობილი; იმ დროს ბათუმის მხარე საქართველოს მოწყვეტილი იყო, ფოთისა და ანაკლიის ციხეებში თურქი მეციხოვნენი იყვნენ, ხოლო აფხაზეთი შინაურმა არეულობამ მოიცვა. ამიტომ ვარაუდობთ, რომ ისინი ყულევის ნავსადგურიდან გავიდნენ. კონსტანტინოპოლში მათ შეხვდა საფრანგეთის ელჩი. დეკემბრამდე

კონსტანტინოპოლში დარჩნენ, შემდეგ კი ხომალდით გაემგზავრნენ საფრანგეთისაკენ. ცნობილი არ არის ის პუნქტები და ადგილები, რომლებიც საბას მარსელში ჩასვლამდე გაუვლია ისიც ნიშანდობლივია, რომ სულხანი არც ბალკანეთის და არც აპენინის ნახევარკუნძულებზე არ შეჩერებულა; ამის შესახებ რაიმე ჩანაწერი არ არსებობს. ეტყობა, იგი ხმელთაშუა ზღვის გადაჭრით, პირდაპირ მარსელში ჩავიდა.

პარიზში სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობასთან დაკავშირებით მარი ბროსეს ფრანგი მისიონერის უან რიშარის ერთი წერილი უნახავს, რომლის მიხედვითაც იგი ფიქრობს, რომ „შეიძლება სულხან-საბა ორბელიანმა, პარიზში ჩასვლამდე, ხუთი წელი იტალიაში გაატარა“. მარი ბროსე ვარაუდობდა, რომ სულხან-საბამ 1713 წელს ჯერ რომში გაიარა, ხოლო 1714 წლის დასაწყისში ჩავიდა პარიზში. ია ტაბალუას გამოკვლევით, „სულხან-საბა ორბელიანი მარსელში ჩავიდა 1714 წლის 22 ივნისს, ხოლო აქედან პარიზში. მანამდე ის იტალიასა და საფრანგეთში არ ყოფილა“.

სულხანი კონსტანტინოპოლიდან პირდაპირ მარსელში ჩავიდა. ეს ჩანს იქიდან, რომ 28 ნოემბერს იგი ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ იქიდან დეკემბერში გაემგზავრა. 23 იანვარს სულხანი უკვე მარსელშია; მან მცირე დროში დაფარა მანძილი, რომელიც ვათას კმ აღემატება; მოგზაურს აპენინის ნახევარკუნძული ან სიცილია რომ გაეგლო, იგი მოგზაურობის ტექსტში მოიხსენიებდა, როგორც ნაცნობ ადგილებს; ამასთან, მარსელში ჩასვლისას სულხან-საბა კარდინალს რომში წერილს წერს, რომელშიც აღნიშნავს ჩამოსვლის პოლიტიკურ და რელიგიურ მიზნებზე. წერილში აგრეთვე ნათქვამია: „ვიცი, რომ თქვენ მე ვერ მიცნობთ“ ე. ი. ჯერ კიდევ მათ არ ჰქონიათ შეხვედრა. მაშასადამე, მას არც რომში გამოუვლია.

ჩვენი დაკვირვებით, სულხანის მოგზაურობის ჩანაწერებს აკლია მარსელი-პარიზი-ვერსალის აღწერა. ა ცაგარელის მიხედვით სულხანმა ევროპაში მოგზაურობის ჩანაწერი საქართველოდან, ან უკიდურეს შემთხვევაში კონსტანტინოპოლიდან დაიწყო. ასევე ფიქრობდა გიორგი ლეონიძეც. ა კიკვიძის აზრით კი, სულხან-საბას მოგზაურობის შთაბეჭდილებების ჩაწერა საფრანგეთიდან დაუწყია, ხოლო მანამდე მოკლედ აღწერა ნანახი ადგილები.

საფრანგეთში ჩასულმა სულხანმა ლუდოვიკო მეოთხთმეტეს სთხოვა დახმარება საქართველოსათვის. თავის მხრივ, ქართველებმა ზოგი რამ

ივალდებულეს, კერძოდ, ირანში მიმავალ ფრანგ ვაჭრებს შეეძლოთ გაეცლოთ საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველები მიიღებდნენ კათოლიკობას და სხვა როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, სულხანი ორჯერ შეხვდა ლუდოვიკო მეთოთხმეტეს რომელმაც ლიტონი დაპირებებით გამოისტუმრა შინა. სულხან-საბა ორბელიანმა ლუდოვიკო მეთოთხმეტეს გადასცა ქართული კარტოგრაფიული მასალები, რათა იგი გასცნობოდა იმ ქვეყანას, რომელთანაც ექნებოდა ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობა. როგორც ჩანს ასეთი მასალა საქართველოში წინასწარ იყო შეგროვილი. ვარაუდობენ, რომ სულხან-საბამ ვახტანგის წერილთან ერთად საფრანგეთის მეფეს გადასცა საქართველოს რუკაცა შემდგომისათვის, როცა საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობა ჩაიშალა, სულხანის მიერ ჩატანილი რუკით და სხვა კარტოგრაფიული მასალებით ისარგებლა გილიომ დელილმა, რომელმაც 1723 წელს, კავკასიისა და კასპიისპირეთის ქვეყნების რუკა, პარიზში გამოსცა, რომლის სათაურში სულხან-საბაც არის მოხსენიებული. ამ რუკის საქართველოს ნაწილის ტოპონიმიკური ანალიზი გვარწმუნებს, რომ მასში მხოლოდ ქართული მასალებია გამოყენებული, რადგან დამახინჯება ტოპონიმიკურ მასალაში მცირეა.

სულხან-საბა დიდი ინტერესით ეცნობოდა იმ დროის ევროპული კარტოგრაფიის მიღწევებს; მოგზაურობიდან მან ჩამოიტანა 1711 წელს გამოცემული მსოფლიო ატლასი და რუკები. ეს ატლასი ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. ატლასზე წითელი მელნით გაკეთებულია ქართული მინაწერები, რაც ძირითადად საბას ხელითაა შესრულებული, სწორედ ამ ატლასის მეშვეობით შეიტანა მან ბელოზი პუნქტის კოორდინატი თავის ლექსიკონში. თვით ატლასში ქართული მინაწერები შერჩევილია და ემსახურებოდა ჩვენში გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს.

საფრანგეთიდან სულხან-საბა ორბელიანი იტალიაში გაემგზავრა; ჩანაწერები იწყება საფრანგეთის იმდროინდელი ბოლო თემის ტანტიბ /სწორია ანტიბი ქალაქიდან. სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შემორჩენილი ტექსტი 1940 წელს გამოსცა ს. იორდანიშვილმა, ხოლო 1852 წლის ჟურნალ „ცისკრის“ რამდენიმე ნომერში დაბეჭდილია სულხან-საბას მოგზაურობის ტექსტი. იგივე ტექსტი დაიბეჭდა რუსულ ენაზე 1969 წელს, რომელიც თარგმნა ფ. თვალთვაძემ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულხან-საბას მოგზაურობას საზღვარგა -  
რეთ. ამიტომაც ბევრი მკვლევარი მ. ბროსე, მ. თამარაშვილი, ნ. ბერძენი-  
შვილი, გ. ლეონიძე, ვ. გაბაშვილი, ს. იორდანიშვილი, ჯ. ლომაშვილი, ი. ა.  
ტაბაღლა, ლ. მენაბდე, და დონდუა, ლ. მარუაშვილი და სხვა იკვლევდა მის  
მარშრუტს. სულხან-საბა ორბელიანის შესახებ ვრცელი მონოგრაფია გა -  
მოსცა ლ. მენაბდემ, და დონდუამ დაწვრილებით მიმოიხილა სულხან-საბას  
მოგზაურობა, დაადგინა ბევრი პუნქტის ადგილმდებარეობა.

როგორც აღვნიშნეთ, მოგზაურობის წინა ნაწილი დაკარგულია. იგი  
რომ ნამდვილად არსებობდა, მოწმობს სულხანის თქმა: „ამ საბიას მეფის  
ქალი იყო სპანიის მეფის ცოლი, რომ ზეით სიკუდილი დაეწერეთ“, ახ,  
„ეს წალკოტი რომის ვალავანს აზია ერთი ფლოროცი შუა ჩაელისა შეევე-  
დით კარსა, წალკოტები როგორც ფარიზისა დავსწერე, ესეც მისთანა იყო,  
მაგრამ ფარიზში ქადარი არ მინახავს“ და სხვა.

მოგზაურობის გადარჩენილ ტექსტში უხვადაა მოცემული გეოგრაფიუ-  
ლი ცნობები. იგი უბრალო მოგზავრის თვალთ კი არ ათვალისებებს, არამედ  
გამოცდილი გეოგრაფის ენით აღწერს ამა თუ იმ ადგილს. ეს არც არის  
გასაკვირი, რადგან მან ხომ ჯერ კიდევ მოგზაურობამდე შექმნა ლექსიკო-  
ნი, რომელშიც უხვადაა გაბნეული გეოგრაფიული მასალა. სულხანი აღ -  
წერს ადგილთა გეოგრაფიულ მდებარეობას, მის რელიეფს, ჰავას, მცენა -  
რეულობას, ნიადაგებს, ეკონომიკას, იძლევა ადგილთა შედარებას, პუნქ -  
ტებს შორის მანძილს და სხვა განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ  
ქალაქების მრავალმხრივი დახასიათება.

როგორც ვთქვით, სულხან-საბას მოგზაურობის ვრცელი გეოგრაფიული  
ანალიზი წარმოგვიდგინა და დონდუამ, რომელიც ცალკეული ელემენტების მი-  
ხედვით აანალიზებს სულხანის მოგზაურობას. ავტორის აზრით სულხან-  
საბას კარგად სცოდნია მშობლიური ბუნება, კარგად ადარებს მას უცხო  
ქვეყნის ბუნებას. ირკვევა, რომ შედარების მეთოდი საბამდე არ იყო მი -  
ღებული. „შედარებითი მეთოდი საბას შემდეგ ასი წლის დაგვიანებით იწ-  
ყებს გზის გაკაფვას მეცნიერულ გეოგრაფიულ კვლევაში; საბას დროს,  
და მით უფრო საბამდე, შედარებას, არა თუ როგორც კვლევის მეთოდს,  
არამედ საერთოდაც იშვიათად იყენებდნენ“ (და დონდუა, 1959). იგივე  
მკვლევარი სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის გეოგრაფიულ მნიშვნე-  
ლობაზე აღნიშნავს: „ავტორი—სულხან-საბა ორბელიანი—საფუძვლიანად  
არის მომზადებული გეოგრაფიული მეცნიერების დარგში. განსაკუთრებით



აღსანიშნავია საბას გეოგრაფიული ენის სიწმინდე, სიცხადე და მრავალფეროვნება. ამ მხრივ, საბა ჩვენთვის მისი ლექსიკონის მიხედვით უფრო იყო ცნობილი ამიერიდან ლექსიკონთან ერთად საბას ეს თხზულებაც „მოგზაურობა ევროპაში“ უდავოდ დაგვემოწმება სულხან-საბა ორბელიანის დიდ როლსა და მნიშვნელობაზე ქართული მეცნიერული გეოგრაფიის განვითარების საქმეში“.

სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის შთაბეჭდილებების დასაწყისში დასმულია თარიღი ჩლია (1711). ამ თარიღის უზუსტობაზე მიუთითებს ს. იორდანიშვილი; ეტყობა ეს გადაამწერის შეცდომაა. სინამდვილეში უნდა იყო ჩლიდ (1714). პარიზიდან სულხანი კვლავ მარსელში ჩამოვიდა, თვით სულხან-საბა წერს: „რამდენიღაც მილი იყო, შემეშალა, მაგრამ მარჩილიდამ (მარსელი) ჯენევიამდე (ვენუა), თუ სწორად ივლი, სამასი მილია“.

სულხანი მარსელიდან ნისში /ნიცაში/ ჩავიდა. იგი მოკლედ, მაგრამ მოხდენილად აღწერს ბუნებას: „საბიას ადგილები დიდი მთები თოვლიანი მოჩნდა. მაგარი ადგილები, კლდეანი, ღრმა ხეობიანი“. მოგზაურის ყურადღებას იქცევს როგორც ბუნება, ისე ეკონომიკა, კულტურა, მშენებლობა, ხშირად მიმართავს შედარებას: „ათი მილი სხვა ვიარეთ. სამი, ოთხი მაგარი ციხე ჩამოვიარეთ საბიასი, კლდეანი, მაგარი, ტყე ძვირად ჩნდა. ზეთის ხე მრავალი, ვენახოვანი, სახნავი ნაკლები. ქარი პირისპირ გვცემდა, ნავი მართლა ვერ იარებოდა. მოვედით მონაკო ქალაქს. ზღვაში ერთი კლდე შესულიყო თბილისის მეტეხსავითა. სამგნით ზღუა ევლო, ცალგნით იწრო შესავალი, მაგარი ციხე, დიდად და ძლიერად გამაგრებული“.

სულხან-საბა მონაკოდან ჯენევაში მიემგზავრება. აღწერს მთელ რიგ ქალაქებსა და ადგილებს. იგი მიუთითებს ხელოვნურ ტერასებზე, რომელზედაც ვენახი ყოფილა გაშენებული: „მრავალი მაგარი ციხე და სოფლები ჩამოვიარეთ (გენუასთან—კ. ხ.), მაგრამ დიდს ადგილს ვენახოვანი სულ წამხდარიყო. კედლები აეშენათ, გვერდზე მოესწორებინათ, ზედა ვენახები აეშენათ, მაგრამ სრულობით გაოხრებულიყო“.


სულხან-საბამ იმოგზაურა ზღვის სანაპიროზე. გაიარა დასახლებული პუნქტები და ციხეები: „მას ქვევით (ქალაქი არეწქო-ალბენვა-კ. ხ.) — ქალაქი ქალაქზე, ზღვის პირად: ციხე ციხეზე. სოფლები მრავალი“. ვრცლად ახასიათებს ქალაქ გენუას, მის მდებარეობას, მშენებლობას: „დიდად, მშენიერი სახლებია ფრანციცის მხარეს დიდი ლიმენა აქვს და სამს ადგილს ზღვაში გაღავენა გაუვლიათ ლიმენის უღელვაობისათვისცა“. გე-

შუას აღარებს კონსტანტინობოლსა და საფრანგეთის ქალაქებსა რამდენიმე ქალაქის გავლით სულხანი მისიონერ რიშართან ერთად რომში ჩავიდა. ეტყობა რომმა სულხანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან იგი თავის აღწერაში ყველაზე დიდ ადგილს უთმობს მის დახასიათებას, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გვითხრას ქალაქზე, მის არქიტექტურაზე; ხშირად დროც აღარჩემა დასაწყერად: „იმ დღეს ამისმეტი გერა დაგწერე რა, ღამე გვესწრა წამოვედით.“ ხოლო ერთ ადგილას შენიშნავს: „დაიჯერეთ, რომბ ასეთია. ას წელს სულ იაროს კაცმა მის საკვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს“.

მოგზაური რომიდან სამხრეთისაკენ გაემგზავრა გზად აკვირდებოდა ბუნებას, განსაკუთრებით მტენარეებს, აღარებდა საქართველოს ბუნებას: „წავედით რა ცოტა ხანი ვლუო, ზეთის ზე მოაკლდა. მთის ადგილს ავედით. ზღნარი დიდგორი რომ არის, ამგვარი ადგილები იყო“ ჩავიდა ქალაქ ფლორენციაში, რომელსაც ახვევ დაწკრილებით აღწერს. საბამ ფრისასთან ნახა გემების რაბებით მოძრაობა: აქ ხელოვნური არხი ყოფილა გაყვანილი ალიკორნადან (ლიგორნო).

სულხან-საბა აბენიის ნახევარკუნძულიდან სიცილიაში ჩავიდა, პა - ლერმოდან მესინაში გადავიდა. გზად მან ნორიდან დაინახა მბოლავი მთა ზღვაში: „პალერმოდან რომ წამოვედით მესინას ღამით ზღვაში, ერთი მთა დარჩა, ვერ ვნახეთ. ეტნის ცეცხლი ამოდიოდა. შუა ზღვაში იყო ცალკე კუნძული“ როგორც ჩანს ეს მბოლავი მთა ეტნა არ არის, რადგან პალერმოდან მესინამდე კუნძულ ვულკანოზე მდებარეობს მოქმედი ვულკანი. მოგზაურმა გაიარა მესინის სრუტე და შემდეგ მართლაც ნახა ვულკანი ეტნა სწორედ ამ ეტნაზე ლაპარაკობს იგი „სიტყვის კონაში“ მოგზაურობის ტექსტში კი აღნიშნულია: „სხვა ეტნის მთა გამოჩნდა. შუა დიდი კვამლი გამოდიოდა. ცეცხლი არ ჩნდა ნახევრამდი. ის მთა სულ დათოვლილი იყო. და იმას ქვევით ხეები ზღნარი და დაზალზე შენობა იყო. ასე თქვეს: თოვლი მუდამა სძესო. სხვაგან თოვლა არსად იყო. და ის ცეცხლი ისე ამოდიის. ორმოცს წელიწადს უწინ იმ მთას ერთ ადგილას პირი გაეღო. ერთი ცეცხლი გამოსულიყო. დიდი ადგილი ზღუამდი ზღვაზე ჩამოსულიყო. სამს მიღზე ზღვა გაეშრო სულ შავს წიდასავით ქვით ავესო და ეს პირი ისევ და ბურვილიყო. . . ადგილი ზირბატი, გვიანი, ნახიდურის და აღმართობა მსგავსი იყო. დია ვთ: ქალაქები, ციხეები. . . ხე მრავალი. . .“

K 215.873



აქედან სულხან-საბა მალტისაყენ ვაემგზავრა მან დაწვრილებით აღწერა ეს კუნძული რამდენიმე ხნის შემდეგ ხმელთაშუა ზღვით ჯერ ეგეოსის ზღვის კუნძულებს, შემდეგ ზმირონს (იზმირი) ჩაუარა და კონსტანტინოპოლში ჩავიდა. სულხან-საბა ორბელიანს საფრანგეთის მეფის დაპირებათა ლოდინში კონსტანტინოპოლში 17 თვე მოუხდა ვაჩერება მალე ლუდოვიკო XIV ვარდაიცვალა და ახლა უკვე საქართველოსთან დაკავშირებული გეგმების განხორციელებაზე ნაკლებად იზრუნებდნენ; სულხანი საქართველოსაკენ გამოემართა, გზად ბევრი გაჭირვება და ჩიფათი გადაიტანა; გაძარცვეს და შეეურაცხურდა მიაყენეს ალბათ, ამ დროს გაიფანტა მისი მოგზაურობის ჩანაწერები და სხვა ნივთები.

სულხან-საბა საქართველოში დაბრუნდა აქ მას მტრულად შეხვდნენ ქართველი სასულიერო პირები, ე. ლეონიძის აზრით, საბას განდგენის მიზეზი ალბათ კათოლიციზმისადმი ზედმეტად ერთგულება იყო, რასაც დაემატა მისი უშედეგო მოგზაურობაც.

თითქმის ყველა ავტორი, ვინც კი იკვლევდა სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის საკითხებს, ასკვნის, რომ „საფრანგეთს არ ჰქონდა შორეული საქართველოს დახმარების თავი“ ი. ტაბაღუა აღნიშნავს, რომ სულხან - საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში-ღრმად ჩაფიქრებული ნაბიჯი იყო გადადგმული ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბას და სხვა მათ მომხრეთა მიერ, ამ დროს არსებობდა პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი (როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთშიც), რომელთაც შესაძლებლად მიაჩნდათ საქართველოსა და საფრანგეთს შორის მჭიდრო სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში საქართველომ სცადა რუსეთთან კავშირი დამყარებინა, რომ თავი დაეხსნა უცხოელ დამპყრობთა უღლისაგან და ამით უზრუნველყო ქვეყნის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება. ქართლში პოლიტიკური მდგომარეობა დაიძაბა, საქართველოს პროევროპულმა და პრორუსულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო განაროსხა ირანი და თურქეთი; გარეშე და შინაურ მტრების გამუდმებული ჭიშპობის გამო ვახტანგ მეექვსე ჯერ ცხინვალში გადავიდა, ხოლო იქიდან რაჭაში. 1724 წლის 15 ივლისს რაჭის თავადაზნაურთა ხელშეწყობით ვახტანგის 1200 კაციანი ამაღა რუსეთს ვაემგზავრა ემიგრაციაში ვახტანგს მხცოვანი სულხან-საბა ორბელიანიც ვაპყვა, ვახტანგმა პეტერბურგს პეტრე პირველთან შესახვედრად, ჩრდილოეთ კავკასიიდან

დააწინაურა სულხან-საბა ორბელიანი, მავრამ მოსკოვში ჩასული სულხან-საბა გაცივდა და 1725 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა. ორი დღის შემდეგ თვით პეტრე პირველიც მიიცვალა. ასე ჩაიშალა ვახტანგ მეექვსის ეს ჩანადიქრიც. ქართველთა დიდი ნაწილი მოსკოვში დასახლდა სპეციალურად გამოყოფილ უბანში, გაიზარდა მოსკოვის ქართული კოლონია. მოსკოვში ქართველებმა შემოქმედებითი მუშაობა გაშალეს მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში: ისტორია, გეოგრაფია, პოეზია—აი ზოგიერთი იმ დარგთაგანი, რომლებშიც გაიბრწყინეს ვახუშტი ბაგრატიონის, ვაბრიელ გელოვანის, ვახტანგ ფავლენიშვილის და სხვათა ნიჭმა და შრომამ.

სულხან-საბა ორბელიანი ფართო დიაბაზონის მეცნიერია, რომელმაც შექმნა ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი, მან პირველმა დაგვიტოვა ქართველთა შორის მემუარული ქანრის ნაწარმოები „ევროპაში მოგზაურობა“ და ქართველ მოგზაურთა შორის საბატო ადგილი დაიკავა.

### ტიმოთე გაბაშვილის მიმოსვლა

XV III საუკუნის სამოგზაურო ისტორიის თვალსაჩინო ფიგურაა ტიმოთე გაბაშვილი: იგი მიეკუთვნება იმ ქართველ მოგზაურთა ჯგუფს, რომლებმაც მოიარეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და დაგვიტოვეს ნაწიბი ადგილების ვრცელი აღწერა. ნაშრომში მოცემულია გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები, ტიმოთე გაბაშვილი იყო გარტოგრაფიც და შექმნა დასავლეთ საქართველოს რუკა.

ტიმოთე გაბაშვილი დაიბადა 1703 წელს, მან თავისი დროისათვის შესაფერისი განათლება მიიღო, იყო შესანიშნავი მწიგნობარი; ღვთისმეტყველი, კარგად იცოდა ფილოსოფია, საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველება; იგი ბევრს მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში, იცოდა უცხო ენები. ეს კი საშუალებას აძლევდა ლიტერატურული საქმიანობისათვის გამოეყენებინა როგორც წერილობითი წყაროები, ისე მოგზაურობის დროს მოპოვებული ზეპირი ცნობები.

XV III საუკუნის 30-იან წლებში ტიმოთე გადავიდა იმერეთში და ქუთათელი მთავარეპისკოპოსის წოდება მიიღო. მას ქუთაისში სამიტროპოლიტო კათედრა ეკავა. იმერეთისათვის ეს წლები მეტად მძიმე იყო, რადგან

უცხოელი მოძალადეები, ოსმალები, არ ასვენებდნენ იმერეთს; ხელში ჩაი-  
გდეს მთელი რივი ციხეები და დასახლებული პუნქტები. მეფე ალექსანდრე  
მეხუთემ დახმარებისათვის მიმართა რუსეთის იმპერატორს. ყველაზე  
კარგ კანდიდატურად და სანდო პიროვნებად ელჩობისათვის შეარჩიეს ტი-  
მოთე გაბაშვილი.

1737 წლის 26 სექტემბერს, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის დავა-  
ლებით, ტიმოთე გაბაშვილი თანმხლებითურთ ქალაქ ჩხარისიდან (ახლა სოფ.  
ჩხარი) რუსეთს გაემგზავრა, მას დავალებული ჰქონდა ალექსანდრე მეფე-  
საგან წერილობითი და ზეპირი დანაბარები გადაეცა რუსეთის იმპერატო-  
რისათვის. ტიმოთემ თან წაიღო მის მიერვე ახლად შედგენილი დასავლეთ  
საქართველოს რუკა.

ტიმოთე გაბაშვილი რამდენიმე ხანს დარჩა მოსკოვში, იქიდან კი  
1738 წლის მაისს პეტერბურგს გაემგზავრა, ელჩობამ ნაყოფი ვერ გამოი-  
ღო; უკან დაბრუნებული ტიმოთე გზად ლეკებს ჩაუვარდა და ძლივს  
დააღწია თავისა საქართველოში შიშით დაბრუნდა, ეგონა ამ ელჩობის შე-  
სახებ ოსმალები გაიგებდნენ და დასჯიდნენ მას.

ტიმოთე გაბაშვილი საქართველოში დაბრუნდა 1742 წელს. ერთხანს  
კვლავ დაიბრუნა ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა, მაგრამ თურქეთის  
მოძალდებამ აიძულა ქართლში გადასულიყო; ჯერ ეპარქიის გარეშე დარჩა  
და ატარებდა ქუთათელი მთავარეპისკოპოსის წოდებას, შემდეგ კი მიე-  
ნიჭა გორისა და სამთავისის მიტროპოლიტის წოდება. მალე ტიმოთემ მია-  
ტოვა ეპარქია და გაემგზავრა წმინდა ადგილების მოსანახულებლად.

ტიმოთე გაბაშვილს მოგზაურობის დროს ჩაუწერია შთაბეჭდილებანი.  
რომლის საფუძველზე შეუდგენია წიგნი. თხზულებიდან ჩანს, რომ იგი  
უაღრესად განათლებული პიროვნება იყო და საფუძვლიანად იცოდა მცენი-  
ერების სხვადასხვა დარგია. იგი თავისი ქვეყნისა და ერის პატრიოტი იყო.  
კაკეკელიძე აღნიშნავდა: „... ჩვენში რომ შესაფერისი პირობები დანია -  
დაგი ყოფილიყო, შესაძლოა ტიმოთეს ჩვენს საეკლესიო-საზოგადოებრივ  
ცხოვრებაში ისეთივე რამ გამოეწვია, რაც გამოიწვია რუსეთში პატრი-  
არქ ნიკონის ანალოგიურმა სულისკვეთებამ ლიტურგიკულ (ქრისტიანული  
მღვდელმსახურება - კ. ხ.) მწერლობასა და სფეროში“.

ტიმოთე გაბაშვილის ნაშრომი „მოხილვა წმინდათა და სხუთა აღ-  
მოსავლეთისა ადგილთა“, მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ დაიბეჭდა თბი-  
ლისში პლატონ იოსელიანის რედაქციით, კიდევ ერთი საუკუნის შემდეგ

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ ტექსტი ვრცელი გამოკვლევით გამოა -  
ქვეყნა ე. მეტრეველმა .

ტიმოთე გაბაშვილი აგვიწერს ნანახ პუნქტებს, ქალაქების შესახებ გვაწვდის ისტორიულ და გეოგრაფიულ მასალებს; აღწერს ქართული კულ-  
ტურის ძველ კერებს. იგი ცდილობს არ გამოარჩეს მნიშვნელოვანი და საყუ-  
რადღებო მოვლენები. ამიტომ არის, რომ ტიმოთეს მოგზაურობის ტექსტში  
დაცული ცნობები საყურადღებოა იმდროინდელი ბევრი საკითხის გასარ-  
კვევად. ჯერ კიდევ ტიმოთე გაბაშვილი გვაწვდის ცნობას იერუსალიმის  
მონასტრის ერთ-ერთ კედელზე შოთა რუსთაველის პორტრეტის შესახებ,  
რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონია: „ამის დამხატვას შოთას, შეუნდოს,  
ღმერთმან, ამინა რუსთველი“. XX საუკუნის დასაწყისის მონასტრის კედ-  
ლები და მთელი მხატვრობა თეთრი საღებავით იქნა დაფარული. 1960 წ. სა-  
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო ექსპედიცია იერუსა-  
ლიმში. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ— საქართველოს სსრ მეცნი-  
ერებათა აკადემიის აკადემიკოსები—პოეტი ირაკლი აბაშიძე, გიორგი წე-  
რეთელი და აკაკი შანიძე. ექსპედიციამ ადგილობრივი სპეციალისტების  
დახმარებით საღებავებისაგან გაწმინდა ადგილი, სადაც შოთა რუსთავე-  
ლის პორტრეტი ეგულებოდა და გამოაჩინა ის პორტრეტის პირი გადმოი-  
ღეს და ჩამოიტანეს საქართველოში. ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, იქ-  
ვე ყოფილა გამოსახული ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის პორტრეტიც .

ტიმოთეს მოგზაურობის მთავარი ამოცანა იყო შეესრულებინა მეფის  
საიდუმლო დავალება—პოლიტიკურად დაეზვერა საქართველოსა და რუსე-  
თისადმი მტრულად განწყობილი თურქეთის ტერიტორია.

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“ შეიცავს საყურადღებო გეოგრაფი-  
ულ ცნობებს: იგი გვაწვდის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მასალებს. აგვიწერს  
ჰავას, მცენარეულ საფარს, ვულკანებსა და ყველაფერს, რაც მის ყურა-  
დღებას იპყრობს: გზებს, ქალაქებს, ნავსადგურებს, სრუტეებს, ციხეებს,  
შემუქნეველი არ რჩება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა: ბუნებრივი  
სიმდიდრე, ვაჭრობა, ანტიტერესებს ისტორიული ხასიათის მასალაც, აურ-  
ქეთში გაყიდული ქართველი ტყვეების ბედი და სხვა თუ ამას დავუმატებთ  
მის კარტოგრაფიულ ნაშრომებს, ტიმოთე გაბაშვილი XV VIII საუკუნის ქარ-  
თველ გეოგრაფთა და მოგზაურობა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს.

ტიმოთე გაბაშვილმა მოგზაურობა 1755 წლის აპრილში დაიწყო. იგი  
ახალციხიდან ისწრაფოდა წმინდა ადგილების—იერუსალიმისა და სინას  
მთის—ნახვას: „ხოლო წელთა 1755, ოდეს განაგებდა საქართველოსა ცხებუ-

ლი ქრისტეს მოყვარე მეფე თეიმურაზ და პირმო სახელოვანი ძე მათი ღმთისმსახური მეფე საქართველოთა უფალი ირაკლი, მოასწავებელი ვიქმენ-მიფობისა მათისა და ვიჯმენ მუნით დამათმირითა სასოკვრითა და ქარტიათა—განმტკიცებისათვის უცხოებად შორმგზავრობისა ჩემისა—კმისაყოფელი აღვიღეთ და მოვიწიეთ სამცხეს, ქალაქსა ახალციხესა . . .“

მან გაიარა სამცხის დასახლებული პუნქტები და აჭარის მთებისა და ქორხის ხეობის გავლით ჩავიდა ბათუმში. აქედან გემით ირიზაში (რიზე), ხოლო შემდეგ ტრაპუნტსა (ტრაპიზონი) და ტრიპოლში (ტირებოლუ), იქიდან კი უნიაში. შემდეგ ტიმოთე გზას აგრძელებს ხმელეთითა როგორც ჩანს, გამოცდილი დიპლომატი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნილ იქნა სპეციალური დავალებით, დაეზვერა თურქეთის ტერიტორია რასაკვირველია, ეს მისია მან წარმატებით შეასრულა.

უნიადან ტიმოთემ იზმირამდე ხმელეთით იმოგზაურა, ნახა ნეოკესარია, კომანა, თოხათი (ტოკატი), ლუკაონი (კონია) და კიდევ რამდენიმე ქალაქი. ამ მარშრუტს მან საკმაო ხანი მოანდომა.

გზად ტიმოთე გაბაშვილი ყველა ცნობასა და ნანახს ინიშნავდა მოგზაურობის დღიურში. ექვთარეშეა, რომ ბევრ ცნობას იგი ზეპირად იმახსოვრებდა, ან კიდევ შიფრავდა წერილობით. მოგზაურს ქალაქ ლუკაონთან უნახავს ბევრი ბუნებრივი ცხელი წყარო, რომლებიც წიქვილსაც კი აბრუნებენო. ასეთივე ცხელი წყაროები მას თურქეთის ტერიტორიაზე სხვა ადგილებშიც უნახავს. აღსანიშნავია, რომ ამ მხარეში ახლაც გვხვდება ცხელი წყაროები.

ეზმირში ტიმოთე 1756 წლის თებერვალში ჩავიდა, საქართველოდან გამგზავრების თითქმის ერთი წლის შემდეგ. ყოველი პუნქტის მოხილვისას იგი წერს: „და მიერიოგან მივიწიენითა . . .“ ან „მიერიოგან წარველითა . . .“ ქალაქ იზმირს ასე ახასიათებს: „და ვიხილეთ ქალაქი მჯობი ყოველთა ქალაქთა ესრეთ, ვითა ედემს შინა სამოთხეა პირად-პირადობა შენებულობათა და საწუთოთა ედემებრიობა გარდაემატა ერთ კერძო — თეთრი ზღვა (ასე უწოდებდნენ ეგეოსის ზღვას, ზოგიერთ შემთხვევაში მთელ ხმელთაშუა ზღვასაც — კ. ხ. ), აღვსილი მრავლითა ხომალდითა და ნავითა, და ანძანი ამართულნი იყვნეს ვითა ხე მალნარისანი, და ერთ კერძო-მთანი, და ძირსა-ველნი და ქალაკხი, ბაღჩა-ბაღითა და წალკოტითა აღვსილ, და ზეთის ხილთა ტევნარიანობა დახმირებული და ნარინჯ-თური-ნარინჯი, კვიპაროზითა და ალვისა ხისა მალნარნი. ნიაჭვილილ სუნთა ბერცისა საყნოსელნი გაელანესა შევედით შინაგან ქალაქსა, ვიხილეთ სრანი

და პალატნი უცხოდ ჩინელთაებრ ხურობულნი ესრეთ, ვითა მაისის ეკლთა ასფოდელოებნი“.

იზმირიდან ტიმოთე გაბაშვილი საბერძნეთის მთაწმინდაზე გაემგზავრა; გზად გაიარა კუნძულები: ქიონი (ქიოსი), მიდილენი (მიტილენი), ლემენი (ლემნოსი). მოგზაური გვაწვდის ცნობებს ამ კუნძულების შესახებ, მათი მცენარეულობის, ჰავის, ნაგებობების დახასიათებას მთაწმინდის მონასტრის აღწერასთან დაკავშირებით ძვირფას ცნობებს გვაწვდის ამ მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ. აქვე, ათონის მთას აღარებს კავკასიის მთას: „მსგავსი კავკასიისა, ყინვითა აღსავსე, მადინებელი მდინარეთა“ დაწვრილებით გადმოგვცემს მონასტრების მდებარეობას, მათ ისტორიას. აქვე შეუდგენია ივერიის სამონასტრო კომპლექსის გეგმა-სურათი, რომელიც ჩაუთრო მონასტრის აღწერილობას.

ტიმოთე გაბაშვილი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობაზე გადმოგვცემს თქმულებებს. იგი ცდილობს გაიგოს, რატომ ეწოდათ ქართველებს და ესპანელებს „იბერიელი“, რას ნიშნავს სახელები: ქართლი, გიორგია, გურჯი და სხვა.

მთაწმინდიდან ტიმოთე გაბაშვილი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. „... რამეთუ არასადა იპოების აზია და ევროპა ერთად შეკრებულნი, ვითარ აქა; და მათ შორის მდინარედ წარმოქანებული შავი ზღვით ვიწრო ზღვა, მჩქეფარედ პერეულთა კვეთებითა მომდინარე, და ზედა დაფუძნებული კონსტანტინეპოლი, ზედან მათა ხელითა საბაოთისათა“ აქედან განაგრძობს მოგზაურობა თურქეთის ტერიტორიაზე, მოგზაურობის დროს ტიმოთემ ნახა აპოლონის ტბა და აღწერა მისი მიდამოები; ტბის შუა ადგილზე არის ციხე და ქალაქი აშენებული ტრაიანეს მიერო, თუ თანამედროვე რუკებს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ შუა ტბაში მართლაც არის პატარა კუნძული.

ტიმოთემ გადაწყვიტა აქედან იერუსალიმში წასვლა, მან გაიარა ეგვიპტისა და ხმელთაშუა ზღვების რიგი კუნძულები. მიუახლოვდა ქალაქ იოპეს (იფა), მაგრამ ძლიერი ქარის გამო უკან დაბრუნდა, ქარის ჩადგომის შემდეგ გზა განაგრძო და მივიდა ტრიპოლში. შემდეგ ბეირუთისა და სხვა სანაპირო ადგილების გავლით კვლავ იოპეში ჩავიდა. მალე იგი წმინდა ქალაქ იერუსალიმს ესტუმრა.

საინტერესო და მრავალმხრივ ცნობებს გვაწვდის მოგზაური იერუსალიმის ღირსშესანიშნავ ადგილებზე. აღწერს ეკლესია-მონასტრებს, მათ ნაგებობებს, მხატვრობას, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ აქ იძლევა შოთა



რუსთაველზე ძვირფას ცნობებს: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთ - ველს, მეჭურჭლეთ უხუცესსა თითონაც შიგ ხატია მოხუცებულია...“ ასევე გვა - წვდის სხვა ცნობებსაც, მათ შორის საინტერესოა ცნობები ნიკოლოზ ჩო - ლოყაშვილის შესახებ (იხ. „ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ევროპის გარშემო“)

ტიმოთე გაბაშვილი მარტო იერუსალიმის ნახვით როდი კმაყოფილ - დება, იგი შემოივლის სხვა ახლომდებარე ქალაქებსაც, ამის შემდეგ ხმელ - თაშუა ზღვით კუნძულ როდოსზე გადადის, საიდანაც მთელი რიგი კუნძუ - ლების გავლით საბერძნეთში ჩადის. გზად ტიმოთემ გაიარა კუნძული სან - ტო ირინი (სანტორინი), სადაც აგვიწერა მოქმედი ვულკანი სანტორინი. იგი ვაკვირებულა ამ სანახაობით, რადგან საქართველოში ასეთი რამ არასოდეს ენახა: „ხოლო ვიხილე მუნ საკვირვო რაიმე, რამეთუ ზღვათა შინა აღმოსრულ არს კვამლი დიდძალი და ამოსდევნებია მთა შავი და არს ამოსული იგი მთა, თვით ვიხილეთ“.

ამის შემდეგ მოგზაური ქალაქ ათინაში (ათენი) ჩადის, რომლის მი - დამოებს იგი ასევე ვრცლად ახასიათებს, იხილავს მის ისტორიას, ნა - გებობებს, აქედან არნაუტში წავიდა (ასე ეწოდებოდა ალბანეთს თურქუ - ლად). სურდა კუნძულ კორფუს მონახულებაც, მაგრამ უკან გამობრუნდა, რადგან არნაუტსა და თურქეთს შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო.

ტიმოთე გაბაშვილი საბერძნეთიდან სამშობლოში გამოემგზავრაა გა - მოიარა ეგეოსისა და მარმარილოს ზღვის კუნძულები და ქალაქები, შემო - ვიდა შავ ზღვაში და ქალაქ სამსონიდან (სამსუნი) თურქეთის ცენტრალ - ურ ნაწილში იმოგზაურა. მდ. ეფერატის ზემო ნაწილიდან იგი არზრუმი - სა და ოლთისის გამოვლით 1759 წელს დაბრუნდა საქართველოში. ამ დროს მიჰი თანამოაზრე და მეგობარი ანტონ 1 რუსეთში იყო გადახვეწილი; ფი - ქრობენ, რომ ამან აიძულა ტიმოთე გაბაშვილი ყიზლარში წასულიყო. 1762 წელს სინოდის ბრძანებით მას საცხოვრებლად ასტრახანი მიუჩინეს. გარდაიცვალა ასტრახანში და იქვე ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს.

## ათი წელი მოგზაურობაში

XVIII საუკუნის ქართველ მოგზაურთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია იონა გედევანიშვილს. იგი დაიბადა 1737 წელს, აღიზარდა ანტონ კათალიკოსის კარზე. 16 წლის იონა ანტონმა იეროდიაკონად აკურთხა. 1756 წელს ანტონ პირველი კათალიკოსი რუსეთში განდევნეს, მას თან გაჰყვა იონაც. რუსეთში იონა განაგებდა ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიებს; 1763 წელს იგი კათალიკოსთან ერთად კვლავ დაბრუნდა ქართლში და ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტობა მიიღო, შემდეგ რუისის მიტროპოლიტი გახდა. 1780 წელს კი, როგორც ანტონ კათალიკოსის მიმდევარი, ძველ ერეკლემ აყარა უფლებები და გარეჯის მონასტერში გაგზავნა. გარეჯიდან იონა ჩუმად გადავიდა იმერეთში, მაგრამ აქ ის არ შეიწყნარეს და უკან გამოაგზავნეს თბილისში. ერთხანს საცხოვრებლად ქაშვეთის ეკლესიასთან მიუჩინეს ბინა. იონა, აქედანაც გაიპარა და დაიწყო შორეულ ქვეყნებში (წმინდა ადგილებში) მოგზაურობა. შემოიარა მთელი სამართლმადიდებლო აღმოსავლეთი, სადაც პატრიარქებს აღადგენინა თავისი მღვდელმთავრის ხარისხი, იმოგზაურა ეგროპის ქვეყნებში; ერთხანს მოლდავეთში იყო, სადაც პოტიომკინის კარზე დიპლომატიური მისიით ჩასულ ქართველ მოღვაწეებს შეხვდა, მათ შორის ერეკლე მეფის ელჩს არქიმანდრიტ გაიოზს. იონა გედევანიშვილი აქტიურად ჩაება რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში, იყო სასულიერო წიგნების გამომცემელი საზოგადოების წევრი. ეკატერინე მეორემ რუსეთის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის დიდი პენსია დაუნიშნა. 1792 წლიდან ცხოვრობდა კიევში, ხოლო 1795 წლიდან მოსკოვში, სადაც 1821 წელს გარდაიცვალა.

იონა გედევანიშვილმა აღწერა და დაგვიტოვა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი „პუტემესტეიე, ესე იგი მიმოსვლა ანუ მგზავრობა, ქმნილი გედეონოვ სარდალ გაბრიელის ძის იონა მიტროპოლიტისაგან“. აღსანიშნავია, რომ ეს მოგზაურობა თავისი არეალითა და ხანგრძლივობით ბევრად აღემატება ტიპოვთე გაბაშვილისა და გიორგი ავალიშვილის ასეთივე ხასიათის მოგზაურობებს.

როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, იონა გედევანიშვილის მოგზაურობა 1782 წელს დაიწყო და 10 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. ეს დასტურდება მისივე ჩანაწერებით: კონსტანტინოპოლში ჩასვლისას გარდაიცვალა პატრიარქი გაბრიელი ( გაბრიელ I V მღვდელმთავრობდა 1780-1784 წლებში). მაშასადამე, 1784 წელს იონა ყოფილა კონსტანტინოპოლში, რაც

სრულიად კანონზომიერი ჩანს. ამასთან, იონა გედევანიშვილის მოგზაურობის დაწყებას 1782 წელს ისიც ადასტურებს, რომ აღწერილობაში ერთგან აღნიშნავს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავების შესახებ და წერს, რომ უკვე მერვე წელია მოგზაურობს. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ამ დროს (1789-1790) წლებში გამწვავებულა. იონა გედევანიშვილს თავისი მოგზაურობა 1792 წელს დაუმთავრებია, როცა ქალაქ იასში იმყოფებოდა. ამ ქალაქში ყოფნის დროს იონამ დაწვრილებით აგვიწერა გენერალ პოტიომკინის ავადმყოფობა და მისი გარდაცვალება. გენერალი პოტიომკინი კი 1791 წელს გარდაიცვალა. 1792 წელს, ჯერ კიდევ ქალაქ იასში იონა გედევანიშვილი გრაფ ბეზბროდის წერს წერილს, რომელშიც აცნობს მოგზაურობის დამთავრებას.

იონა გედევანიშვილის მოგზაურობის ტექსტი 1852 წელს გამოსცა პლატონ იოსელიანმა, ნ. ბერძენოვმა რუსულ ენაზე თარგმნა მოგზაურობის ნაწყვეტა, რომელიც აგრეთვე 1852 წელს დაიბეჭდა „ზაკავკასკი ვესტნიკში“ („კავკასიის მხარეთა უწყებანი“), 1853 წელს ოდესაში დაიბეჭდა კიდევ ერთი ნაწყვეტი. ამის შემდეგ იონა გედევანიშვილის მოგზაურობის ტექსტი აღარ დაბეჭდილა. ამდენად, დიდი ხანია იგი ბიბლიოგრაფიულ იმედიანობას წარმოადგენს.

იონა გედევანიშვილის სამოგზაურო აღწერილობა შეიცავს როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ისე ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს. იგი ვრცლად აღწერს ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორცაა ზღვის მოქცევა-უკუქცევა, ტიფონი (სმერჩი) და სხვა მოგზაური სულხან-საბა ორბელიანის მსგავსად ახასიათებს ქალაქებს, კუნძულებს, მდინარეებს, სრუტეებს და სხვა ადარებს ნაცნობ ადგილებს, რაც მის თხრობას მეტ დამაჯერებლობას აძლევს: „ქალაქი დიდი შემოზღუდვილია ქვიტიკით, მაღლად მთასა ზედა დაშენებული მჰსგავსი ტფილისისა ან განირჩევა, იტყვის კაცი, კლდისუბანი (ახლანდელი აზიზბეკოვის ქუჩის ბოლო-კა ხა) და ნარიყალა . . .“ ან კიდევ: „კალმახ სიმრავლიანი, არს მტკუარის მდინარესა ზედამან ნაკლები და არაგვის მდინარესა უმეტესია . . .“ ან, „მომაგონდა ქარჩოხის ქსნის ხეობა და იმ გუარაი ადგილებია . . .“

ბუნებრივი პირობების დახასიათებასთან ერთად გვაწვდის სხვა ხასიათის ცნობებსაც. მაგალითად: ეკონომიკურ-გეოგრაფიულ (მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სამეურნეო საქმიანობა და სხვა), არქიტექტურულ, ისტორიულ და სხვა იგი ცდილობს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიურ ახსნასაც; ამავე დროს გვაწვდის მარშრუტის ძველ და ახალ ტოპო-

ნიმებს; გზადგაზა იწერს და კრიტიკულად განიხილავს თქმულებების -  
ტორიულ ცნობებსა .

იონა გედევანიშვილის მოგზაურობა დღიურების სახითაა დაწერილი, რაც კარგად გვიჩვენებს მარშრუტის თანამიმდევრობას. თბილისიდან სურამში, ხოლო შემდეგ ახალციხეში ჩასულა, სადაც ახალციხის ფაშას დახმარებით მოუხერხებია კონსტანტინოპოლისაკენ გამგზავრება. უფრო მშვიდად რომ ემგზავრა, მან გადაწყვიტა გაპყლოდა ვაჭრებს, რომლებიც გაზაფხულობით მიემგზავრებოდნენ კონსტანტინოპოლს, სამცხის ათაბაგს ვაჭრებისათვის უთქვამს: „კაცი ესე თავადი, თავი სამღვდელოთა, მიიყვანეთ კონსტანტინეპოლეს თავის მერჯულეებთან და ბარათი მომიტანეთ ამისი უვნებლობისა“. ცხენიც მიუცია და თან ართვინში ძმისათვის წერილიც მიუწერია .

იონა გედევანიშვილი ყოველ სოფელს, ხეგს თუ მთას ყურადღებით აკვირდება და იმ დროისათვის შესაფერი სიგეოგრაფიული ცოდნით აგვიწერს ბუნებრივ პირობებს. სამცხის ტერიტორიაზე, ახალციხის წყლის (მდ. ფოცხოვის ქვემო წელი) ხეობაში მოგზაურის პირველი შთაბეჭდილება ასეთია: „... მოვიწიენით ხეობასა ვოლისასა, სადაცა ორისავე მხარით მრავლობენ სოფლებნი მშუენიერნი და საშუალ მთასა წყალი მომდინარე, მდინარე მგზავსი ქსნისა, თვინიერორაგულისა, რომელიცა ქსანსა შინა მრავლობს. და თავსა მას ხეობისასა დაშენებულია ციხე, რომელსაცა ეწოდების ყუელის-ციხე“. ამ პატარა ნაწყვეტიდან ჩანს მოგზაურის მაღალმხატვრული წერის მანერა და სხარტი ენა. იგი მრავალმხრივ ახასიათებს ნანახ ადგილებს და გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობებს. გვესაუბრება დასახლებული პუნქტების განლაგებაზე, მდინარეთა ხეობების თავისებურებაზე, წყლის ფაუნასა და ისტორიულ ადგილებზე .

იონა გედევანიშვილი ყუელის ციხიდან შავშეთის მთაზე (არსიანის ქედი) გადავლით ქალაქ არტანუჯში (ახლანდელი ადაყალე) ჩავიდა, რომელიც ასე აღწერა: „მთა მშუენიერი და ყუავილოვანი, ბალახოვანი, და თოვლ-აუღებელი მრავალს ადგილსა, ჟამსა თთუესა მაისისასა“.

ირკვევა, რომ მოგზაურმა შავშეთი გადალახა სუბალპურ და ალპურ ზონაში. მაისში ნახა თოვლის ფრაგმენტები ნამქერის სახით. ამით ისიც დასტურდება, რომ მოგზაურობა იონამ 1782 წლის გაზაფხულზე დაიწყო. მან კლარჯეთის ციხე დაახასიათა, როგორც მიუვალ კლდეზე ნაგები და დიდი მშვენიერი ციხე .

ლიგანის ანუ ართვინის ხეობით იონა გედევანიშვილი ჩავიდა ქალაქ

ართვინში ერთხანს აქ შეჩერდა და ქანეთის მითი (პონტოს ქედი) წავიდა ხოფისაკენ. მალე გამოჩნდა შავი ზღვა, რომლის შესახებ მოგზაური წერს: ზღვა შემოფარგულებული შავი მთებით, ტყიან-კლდიანი, შავი ღრუბლებით, ნისლ-აუღებელი, გრვინვა მეზ-ჭეხიანი, სეტყვა, თრთვილი და ქარი ბორა ხშირად წარმოშობს ზღვაზე ტალღებს და ამიტომ ეწოდა შავი ზღვაო. თუ შავი ზღვის სახელწოდების დღევანდელ და იონასეულ ახსნას ერთმანეთს შევადარებთ მათ შორის დიდ მსგავსებას ვიპოვით.

იონა გედევანიშვილი ჩადის ხოფას, საიდანაც ზღვით ავრძელებს მოგზაურობას. საკმაოდ დიდხანს ჩერდება კონსტანტინოპოლში. აღწერს ქალაქის მიდამოებს, მის ბუნებრივ პირობებს, იძლევა ეკონომიკურს და ისტორიულ ცნობებს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ იონა გედევანიშვილის მოგზაურობის ტექსტის პირველ გამომცემელს პლატონ იოსელიანს გასული საუკუნის 40-იან წლებში მოუწახულებია ზოგიერთი ადგილი, სადაც იონამ იმოგზაურა, მოგზაურობის ტექსტის სქოლიოში პლატონ იოსელიანი განმარტავს ზოგიერთ ნაწილს ადგილს.

კონსტანტინოპოლში იონა გედევანიშვილს თავისი უფლებები აღუდგენია და გამოუგზავნია წერილი საქართველოს მეფე-კათალიკოსთან. კონსტანტინოპოლიდან იონამ მარმარილოს ზღვით (ანუ როგორც იმ პერიოდში უწოდებდნენ თეთრი ზღვით) იმოგზაურა და მრავალი კუნძული, არქიპელაგი და ქალაქი მოინახულა. თანაც შეაგროვა დიდალი მასალა ბუნებრივი პირობების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, სარწმუნოებისა და ადგილთა ნაყოფიერების შესახებ.

კონსტანტინოპოლიდან იონა კუნძულ ლიმანზე (ლემნოსი) გადავიდა, აქედან კი საბერძნეთში მოხვდა; მან ნახა მთაწმინდა და ყურადღებით დაათვალიერა ათონის ივერთა, ათანასი ათონელისა და სხვა მონასტრები. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მონასტრის ინტერიერს, მის შემოგარენს, მცენარეებს, რელიეფს. მთაწმინდიდან თესალონიკეში (სალონიკი) გაემგზავრა, რომელიც დაწვრილებით აღწერა. იგი თესალონიკეს მიდამოებს თბილისის ადგილებს ადარებს.

თესალონიკედან კვლავ ეგეოსის ზღვაში გამოვიდა და შევიდა საშუალო ზღვაში (ხმელთაშუა ზღვა) მოგზაური კუნძულ მიდილინთან საოცარი მოვლენის მოწმე გახდა, რომელსაც ასე აგვიწერს: „ზამთარი იყო თითუე დეკემბრისა ოცისა რიცხვით და იყო ქარწვიმა განმრავლებული, ნავთსაყუდელსა ამისსა, ვიხილე საკვირუელი: მოვიდა სული რაიმე, დაეცა წყალსა მას, წყალნი მრავალნი აღიტაცა ჰაერში, და მხილუელი ამის გან-

ცვიფრებამან შემიპყრა მე, რომელსაც არა ოდეს მეხილუა“. ეს მოვლენა ტიფონია, ტაიფუნის მსგავსი ქარი, რომელიც ხმელთაშუა ზღვისათვისაა დამახასიათებელი. ასეთივე მოვლენას სულხან-საბა ორბელიანიც აღწერს თავის ლექსიკონში და ქარს სიფონს უწოდებს: „სიფონი ქარი რამე არს, ზღვით აღმოსრული, რომელი აღანქრევს წყალსა ზღვისასა და აღმოჩნდების ვითა სუფტი რაიმე, ამფქურეველი წყლისა და აენებს ნავთა, უკეთუ მახლობელ არს“.

იონა გედევანიშვილი კუნძულ მიდილინზე (მიტილენი) გადავიდა, სადაც ახასიათებს ბუნებას, ეკონომიკას; მოგზაურის თქმით, კუნძულზე იმ დროს სამოცი ქალაქი და სოფელი ყოფილა. ნაყოფიერ მიწაზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მაღალხარისხოვანი ზეთისხილი.

აღნიშნული კუნძულიდან მოგზაური ქალაქ იზმირში ჩავიდა, ხოლო აქედან ალაიაში (ალანია). აქ იგი განსაკუთრებით გაკვირვებული დარჩა ერთ-ერთი ციხის მდებარეობით, რომელიც მაღალ კლდეზეა აგებული და სამი ძხრიდან ზღვა აკრავს, ხოლო ერთი მხრიდან ციხისაკენ მიმავალი ვიწრო მისასვლელია. აქვე ავტორი იგონებს რაჭის ერისთავის გიორგის მონათხრობს, რომ ეს ციხე ქაჯეთისაა. აქედან იონა გედევანიშვილი კუნძულ კეპროსზე გადავიდა, შემდეგ კი იოპეში (იაფა) ჩავიდა, ხოლო იქიდან კი—იერუსალიმში. მან დიდი ყურადღებით დაათვალიერა იერუსალიმის ლირშესანიშნაობანი, მისი მიმდებარე სხვა წმინდა ადგილები. აქვე მიუღია გადაწყვეტილება სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ ამ დროს რუსეთსა და თურქეთს შორის გამწვავებულმა მდგომარეობამ რამდენადმე შეაცვლევინა მარშრუტი. იგი კვლავ საბერძნეთში ჩავიდა; ამჯერად ათინაში (ათენი). აქედან კი ისევ ზღვით გაემგზავრა და მივიდა საბერძნეთის ქალაქ ნიაპოლში. როგორც პლატონ იოსელიანი შენიშნავდა, იგი ელადის (საბერძნეთი) ძველი ქალაქია. იონა გედევანიშვილის მოგზაურობის ტექსტში თანმიმდევრობითაა დასახელებული საბერძნეთის ქალაქები და კუნძულები: ათინა, ადრა, ნიაპოლა, კორინთი, ზანტა, კეფალონია და სხვა.

მოგზაური კუნძულ ადრას გავლით ჩავიდა ნავსადგურ კორინთაში, საიდანაც გაემგზავრა იონიის ზღვის კუნძულებზე. მისი ყურადღება მიიპყრო ბუნების საოცრებამ—ცეცხლმფრქვეველი აზოპის მთამ. მოგვიანებით, მკვლევარები ამ მოქმედ ვულკანს აიგივებდნენ ვეზუვთან. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ იონა გედევანიშვილი აპენინის ნახევარკუნძულზე არ ყოფილა და, ცხადია, ვერც ვეზუვს დაინახავდა საყურადღებოა, რომ სი-

ტყვა „აზო“ ლათინურში ნიშნავს „წვას“, „ცეცხლს“. ამავე დროს მოგზაურმა აზოპის ცეცხლმფრქვეველი მთა ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან დაინახა, რომლის შემდეგ გაიარა დაღმაციის სანაპირო და ტრიესტში ჩავიდა. ამ გზით ვულკან ვეზუვის დანახვა გამორიცხულია, რადგან ეს უკანასკნელი აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარეობს და აღმოსავლეთიდან მას ეფარება აპენინის მთები. საფიქრებელია, რომ მოგზაურმა დაინახა მოქმედი ვულკანი ეტნა, რასაც ადასტურებს შემდეგი: ეტნა სიცილიის კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ადრიატიკისა და იონიის ზღვისაკენ არის მიქცეული და მას ბალკანეთის სანაპიროდან არაფერი ეფარება; ელიზე რეკლიუსს გადმოცემით, წყნარ ამინდში ეტნას დანახვა შეიძლება კუნძულ კეფალონიის მიდამოებიდან; სწორედ ამ ადგილებიდან შეამჩნია იონამ ცეცხლმფრქვეველი მთა; ეტნა ვეზუვზე თითქმის სამჯერ მაღალია.

იონა გედევანიშვილი დაღმაციის სანაპიროს გავლით ჯერ ქალაქ ტრიესტში, ხოლო შემდეგ ვენეციაში ჩავიდა. აქ იგი დაუკვირდა ზღვის მოქცევა-შაუქცევის პროცესს და მის შესახებ მოგვაწოდა ცნობები. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ვენეციის დახასიათება მოცემულია შედარებით ვრცლად: ეს არც არის გასაკვირი ამ ქალაქის თავისებურებების გამო დაწვრილებითაა აღწერილი მისი კუნძულებრივი მდებარეობა, არხები, ვენეციაში მოგზაური სამი თვე დარჩა და კვლავ ტრიესტში დაბრუნდა, სადაც იგივე გაატარა, შემდეგ იონა გედევანიშვილმა იზოვა ნავი და იონიის ზღვით გაემგზავრა; გაიარა დაღმაციის სანაპირო, კუნძული კრეტა და მოხვდა ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში. აქედან მდ. ნილოსის ერთ-ერთი დელტის ტოტით კაიროს ესტუმრა. იონა გედევანიშვილმა მრავალმხრივი ცნობები მოგვაწოდა ეგვიპტის შესახებ: „ქუეყანა ესე დიდად ნაყოფიერებს ბოონჯითა, პურიითა, აბრეშუმითა, ბამბითა, ლილითა, შაქრითა, კანაფითა, ოსპითა და მრავალსა ნაყოფიერებას მოთხრობენ ეგვიპტისასი. და გარდა მდინარისა ამის არა იპოება. სოფელთა და ქალაქთა, ჰრწყამს მდინარე ესე ნილოსი ათსა და თხუთმეტს ვერსტსა გელისასა, გარდატანით ხაკადულთა, რომელნიცა აღომაქუყთ მდინარით სხვითა და სხვითა დაბურთა ხელოვნებითა“.

მოგზაურმა გადაწყვიტა სიხას წმინდა ადგილები მოეგლო; სინის მთა ძველი ქართული მწერლობის კერაა საზღვარგარეთ, რომელიც მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით, სინის ნახევარკუნძულ -

ლის სამხრეთ სექტორშია ეს ადგილი ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მაღლა მდებარეობს. აქ უძველესი დროიდან მოღვაწეობდნენ ბერძნები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, ქართველები და სხვა ქართველნი მოღვაწენი აქ VI საუკუნიდან ცხოვრობდნენ, ხოლო ქართველთა სათვისტომო 1X საუკუნეში დაარსდა. X საუკუნეში იქ გადახვეწილმა ქართველმა ბერებმა მწერლობის მძლავრი კერა შექმნეს, აღსანიშნავია, რომ სინას მთის ქართული ხელნაწერებიდან ზოგი დღესაც დაცულია. იონა გედევანიშვილი მისიწრაფოდ ქართველთა ამ წმინდა საგანის სანახავად, მოგზაურმა სინას მთაზე ოთხი თვე დაჰყო და აღწერა ქართველთა მონასტერი. შემდეგ გამოემართა მეწამულის ზღვით კვლავ ეგვიპტეში. შეიარა ქვეყნის მთავარ ქალაქებში და ხმელთაშუა ზღვის ზოგი კუნძულის (როდოსი, კრეტა და სხვა) და დალმაციის სანაპიროს გავლით აგსტრიის ქალაქ ვენაში ჩავიდა. აქაც მოგზაური ოთხი თვე დარჩენილა და ევროპის რიგი სახელმწიფოების (მორავიის, პოლონეთის და სხვა) გავლით ქალაქ იასში ჩავიდა.

იონა გედევანიშვილმა გადაწყვიტა, საქართველოში არ დაბრუნებულიყო ქალაქ იასში ორ წელიწადს დარჩა, სადაც პოტიომკინის კარზე დიპლომატიური მისიით ჩასულ ქართველ მოღვაწეებს შეხვდა. ქალაქ იასის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამ წელიწადს კიევში ცხოვრობდა, ხოლო 1795 წლიდან გარდაცვალებამდე მოსკოვში.

იონა გედევანიშვილმა დაასრულა ხანგრძლივი და ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობა. მისი მთავარი მიზანი შელახული რეპუტაციის აღდგენა იყო. მან კიდევ მოახერხა მღვდელმთავრის ხარისხის დაბრუნება აღმოსავლეთის ეკლესიათა პატრიარქების შემწეობით. მან დატოვა მრავალმხრივ საინტერესო ცნობები ნანახი ადგილების შესახებ, მეცნიერული თვალთახედვისა და ერუდიციის წყალობით აღწერა ქალაქები, ხალხთა ზნე-ჩვეულებები, ვაჭრობა, მრეწველობა და სხვა. ამიტომაც იონა გედევანიშვილის ნარკვევი გეოგრაფიის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო და სამოგზაურო ისტორიის ძვირფასი ფურცლებია. იგი მოგვითხრობს წარსულთან დაკავშირებულ მრავალ მოვლენასა და ფაქტზე, რომელიც საყურადღებოა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ იმ ქვეყნებისათვისაც, რომლებიც აღწერა და დაახასიათა.



## სამი ათეული წელი აზიის ქვეყნებში

სამი ათეული წელი მოგზაურობა, ხუთგზის ჩასვლა ინდოეთსა და ბირმაში, 70 ათასი კილომეტრის გავლა, ათზე მეტი სახელმწიფოს აღწერა — ასეთია მოგზაურ რაფიელ დანიბეგაშვილის დღევანდელი სამოგზაურო ისტორიაში. იგი იყო პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც აღწერა ინდოეთი და ბირმა, გადააკეთა ყარაყორუმის მაღალი მუდმივ თოვლიანი მთაგრეხილი და მოინახულა რამდენიმე სახელმწიფო. ალა ხახანაშვილი რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობას ათანასე ნიკიტინის მოგზაურობას ადარებდა.

რაფიელ დანიბეგაშვილმა უძნელესი გზებით გადალახა მთელი რიგი ადგილები. იგი შეიძლება შევიდეს მსოფლიოს გამოჩენილ მოგზაურთა სიაში.

მოგზაურის შესახებ ცნობებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გასული საუკუნის 90-იან წლებში ვხვდებით; თუმცა, მისი მესამე მოგზაურობის შედეგ, მოსკოვში, ჯერ კიდევ 1815 წელს, რუსულ ენაზე დაიბეჭდა რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

მისი მოგზაურობისადმი ინტერესი განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო; შოთა მესხიას მიერ ლენინგრადში მიკვლეული საარქივო მასალა დაედო საფუძვლად სოლომონ იორდანიშვილის გამოკვლევას, რომელმაც პირველად რუსულიდან ქართულად თარგმნა რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევან მარუაშვილის გამოკვლევები გეოგრაფიული პუნქტებისა და მარშრუტის დადგენისათვის; მანვე დაურთო ვრცელი კომენტარები მოგზაურობის ტექსტს; პირველად მან გააკეთა ტექსტის გეოგრაფიული ანალიზი. ლ. მარუაშვილის კომენტარებით და გამოკვლევებით სამჯერ გამოვიდა რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობის ტექსტი, მათ შორის რუსულ, ინგლისურ და ჰინდურ ენებზე.

რაფიელ დანიბეგაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთი შრომა გამოაქვეყნა გრიგოლ ზარდალიშვილმა, მანვე თარგმნა მოგზაურობის ტექსტი. მის შესახებ რამდენიმე წერილი და სტატია გამოაქვეყნა მრავალმა მკვლევარმა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი, მისაკვლევი და დასაზუსტებელი.

მოგზაურის პირადი ცხოვრების შესახებ მეტად ძუნწი ცნობებია შემორჩენილია. ჯერ კიდევ დაუდგენელია მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები. მხოლოდ ზოგიერთი საბუთისა და მოგზაურობის აღწერილობით ვგებულობთ მისი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს; რაფიელ დანიბეგაშვილს უცხოვრია თბილისში.

გიორგი მეთორმეტის მიერ 1799 წლის 14 სექტემბრის სიგელის პირიდან ვგებულობთ, რომ რაფიელის მამა ერეკლე მეორის დავალებით რამდენჯერმე ყოფილა ინდოეთში. აქვე მოხსენიებულია რაფიელის ძმა იოსები. სიგელიდან ჩანს, რომ რაფიელის მამა ინდოეთში რამდენჯერმე ყოფილა. ჯერ-ჯერობით ცნობილია 1775 წლის ახლო პერიოდში და 1786 წლის შემდეგი მოგზაურობა, რასაც გვიდასტურებს შამირადასათვის ლორეს ბოძება 1775 წელს და თავადობა 1786 წელს. ორივე ეს სიგელი ინდოეთში სწორედ რაფიელ დანიბეგაშვილის მამას წაუღია.

რაფიელის ძმა იოსები და დედა როზა მოხსენიებულნი არიან 1803 წლის თბილისის აღწერაში. ინდოეთში გამგზავრებისას რაფიელ დანიბეგაშვილს ვირაოდ დაუტოვებია მეფეთაგან ნაბოძები ბალი და სახნავი მიწები ლურჯ მონასტერთან. (ახლანდელი კიროვის სახელობის პარკთან).

60-იან წლებამდე ცნობილი იყო რაფიელ დანიბეგაშვილის მხოლოდ ერთი მოგზაურობა, რაც დასტურდებოდა მოსკოვში 1815 წლის რუსული გამოცემის ტექსტით. ორენბურგის არქივში ე. ლიუსტერნიკისა და ომსკის სახელმწიფო არქივში ვ. პლოსკიხის მიერ აღმოჩენილი საბუთების ძიხედვით, ასევე სიგელების თარიღების სწორად წაკითხვით დადგინდა, რომ რაფიელ დანიბეგაშვილი ინდოეთში ხუთჯერ ყოფილა.

ასეთი მრავალჯერ ჩატარებული მოგზაურობის მიზეზი სხვადასხვაა და რაფიელს ამას ეპოქის გარკვეული პირობები უკარნახებდა. ჯერ ერთი, დანიბეგაშვილების საგვარეულო მიეკუთვნებოდა მოგზაურ-ვაჭართა იმ ჯგუფს, რომლებიც არა მარტო ვაჭრობას ეწეოდნენ უცხოეთში, არამედ დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდნენ.

რაფიელ დანიბეგაშვილმა ინდოეთში პირველად იმოგზაურა 1795 წელს და 1797 წელს დაბრუნდა საქართველოში. ამას მოწმობს რაფიელ დანიბეგაშვილის თამასუქი ფელის სესხების შესახებ. მეორედ იგი იმავე წელს გაემგზავრა და 1799 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა. ამავე წლის ბოლოს იგი მესამედ მიემგზავრება ინდოეთში გიორგი მეთორმეტის დავალებით.

მესამე მოგზაურობა ხანგრძლივი აღმოჩნდა; რაფიელ დანიბეგაშვილი 1813 წელს დაბრუნდა მოსკოვში. 1815 წელს კი ამ მოგზაურობის შთაბე-

ქდილებანი გამოიცა მოსკოვში ორდინარიის პროფესორ ივანე დვიგუბსკის (ცნობილი რუსი მეცნიერი, 1771-1839 წწ.) რედაქტორობით; წიგნის სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია, რომ იგი წაიკითხა ორდინარიის პროფესორმა ივანე დვიგუბსკიმ.

ორენბურგისა და ომსკის არქივებში აღმოჩენილი საბუთების მიხედვით: ირკვევა, რომ რაფიელ დანიბეგაშვილს მეოთხედ უმოგზაურია 1815-1820 წლებში, ხოლო მეხუთედ— 1822-1827 წლებში.

რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობიდან დაწვრილებითაა ცნობილი მხოლოდ მესამე მოგზაურობის მარშრუტი, რომელიც აღწერილია მისსავე ნაშრომში. პირველი ორი მოგზაურობის მხოლოდ დასაწყისი და ბოლო პუნქტებია ცნობილი, ხოლო მეოთხე და მეხუთე მოგზაურობის მარშრუტი ისტორიული საბუთებით, თითქმის მთლიანად არის ცნობილი.

რაფიელ დანიბეგაშვილი თავის მოგზაურობას ასე იწყებს: „1795 წლის მარტის მე-15 დღესა წარგზავნილი ვიყავი საქართველოს მეფის ერეკლეს მიერ ინდოეთს შემდეგი გარემოების გამო, მადრასში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი, რომელიც ერეკლეს ყოველწლიურად საჩუქრებს უგზავნიდა მეფემ საპასუხო ჯილდოდ დიდი ჭოფელი ღორე უბოძა და მფლობელობის სიგელი ჩემი ხელით გაუგზავნა. მადრასში ჩასვლისას ის სომეხი ცოცხალი აღარ დამხვდა, იგი ჩემ მისვლამდე ერთი წლით ადრე გარდაცვლილიყო. ხსენებული მფარველობის სიგელი გადავეცი მის ვაჟიშვილს, რომელიც იმ დროს მადრასში იმყოფებოდა“. ეს აბზაცი რუსუდან ორბელს არასწორად მიაჩნია მოგზაურობის მიზნის შესანიღბავად. 1795 წლიდან 1813 წლამდე დანიბეგაშვილმა სამჯერ იმოგზაურა, რასაც მოწმობს რიგი საბუთები: 1797 წელს რომ კვლავ თბილისშია იგი, ამას ადასტურებს 1797 წელს გაცემული ფულის თამასუქი; 1799 წელს რაფიელი კვლავ ინდოეთში მიემგზავრება, ეს დასტურდება 1799 წლის გიორგი X11-ის მიერ გაცემული სიგელით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დანიბეგაშვილების მოგზაურობა ინდოეთში გაპირობებული იყო დიპლომატიური მისიით. რამ განაპირობა თვით ერეკლე მეორის შამირ-აღასთან დაახლოება? ცნობილია, რომ პაატა ბატონიშვილი კარგად იცნობდა ინგლისსა და საფრანგეთს; იგი ერეკლე მეორეს ურჩევდა ინგლისის დაახლოებას აღმოსავლეთის (კალკუთის) გზიდან. ამავე დროს, თბილისში მყოფი პატრები ევროპის გზით საფრანგეთის დაკავშირებას ითხოვდნენ. მეფე ერეკლე ვერ წყვეტდა ინგლისთან ურთიერ-

თობის საკითხს, თუმცა ამ დროისათვის ბევრმა ქართველმა გააბა კავშირი ინდოეთში მყოფ ინგლისელებთან. ბოლოს-ერეკლე მეფემ გადაწყვიტა ინგლისთან დაახლოება. ინდოეთში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი ვაჭარი იაკობ სულთანუმინი (იგივე შამირ-ალა). იგი ჭაბუგობისას ჩასულა ქ. მადრასში, დაუწყია ვაჭრობა და XVIII ს. II ნახევარში ინდოეთის ყველაზე დიდი ვაჭარი გამხდარა. ყოფილან იქ კიდევ სხვა ვაჭრებიც, რომლებსაც დაუწყიათ ვაჭრობა საქართველოში, სპარსეთში, ინდოეთსა და ინგლისში. მალე ისინი მილიონერები გახდნენ. თვით იაკობ შამირ-ალას დიდძალი მამულები, ყმები და მონები აღმოაჩნდა. ეს კაცი ოცნებობდა ქართველი მეფის ერეკლე მეორის დახმარებით აღედგინა სომხეთის სახელმწიფო. სხვათა შორის, შამირ-ალამ სომხეთში დააარსა სტამბა. იქ დაბეჭდილი წიგნებით გაიცნო იგი ერეკლემ. 1775 წელს მეფე ერეკლეს მასთან დაუწყია მიმოწერა. ეს ის პერიოდია, როცა დანიბეგაშვილების ოჯახი ვაჭრობით იყო განთქმული. სწორედ იოსებ დანიბეგაშვილს უნდა წაეღო ინდოეთში ეს წერილები. შამირ-ალას ერეკლე მიაჩნდა სომხეთის და სომხების მფარველად და ამ მიზნით შამირ-ალამ ერეკლეს შესთავაზა ინგლისელებთან დაახლოება და მისი მეშვეობით საქართველოსა და სომხეთის გაძლიერება. ერეკლემეფე ამ პირობას დათანხმებია და გაუფაგვანია თავისი მოსაზრებაც. შამირ-ალას მოლაპარაკებებზე უწარმოებია ინგლისთან და ერეკლეს პირობების მიხედვით გეგმაც კი შეუდგენია, სადაც ლაპარაკი ყოფილა მომავალ მიზნებზე. იმდენად აღფრთოვანებულა ამ გეგმით ერეკლე მეფე, რომ წიგნის (დაბეჭდილია სომხურ და ინგლისურ ენებზე) ვაცნობისთანავე ზემოთ მოხსენიებული ლორე (სტეფანავანის რაიონი) შამირ-ალასათვის უბოძებია. ეს კავშირი შემდეგაც გაგრძელებულა მაგრამ ზემოთ აღნიშნული ერთობლივი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან შამირ-ალა 1797 წელს, ხოლო მალე, 1798 წელს ერეკლე მეფე გარდაიცვალა აი, სწორედ ასეთ დიპლომატიურ მისიას ასრულებდა დანიბეგაშვილების გვარი; ჯერ კიდევ რაფიელის მამა იოსები, ხოლო შემდეგ თვით რაფიელი რამდენჯერმე იყვნენ ინდოეთში სპეციალური დავალებით. ამის შესახებ გიორგი მეორე იმეტიის მიერ რაფიელისადმი მიცემულ სიგელში აღნიშნულია: „... სიგელი გიბოძეთ შენ, მამა-პაპით ჩვენს ერთგულსა და თავდადებით მრავალფერა თამსახურების კაცი შეიქმნა, აზნაურს დანიბეგაშვილს, ხუთასის თავის ოსეფას შეიქმნა რაფიელს, ძმასა შენსა იოსებსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ...“ და შემდეგ რაფიელა ამჟამათ ინდოეთს გაგზავნეთ შამირ-ალას შევილთანა, რადგანაც მამა შენი კურთხეულის მამის ჩვენის სამ-

სახურისათვის ინდოეთს რამდენჯერმე წარგზავნილიყო, შენც იმავებს სამ-სახურზედ ინდოეთს გაგზავნეთ“.

როგორც ცნობილია, რაფიელ დანიბეგაშვილმა ხუთჯერ იმოგზაურა ინდოეთში; ყოველი გამგზავრების მიზანი სხვადასხვა ყოფილა. ხუთი მოგზაურობიდან რაფიელმა თავის წიგნში მხოლოდ ერთი მარშრუტი აღწერა (არ არის გამოორიცხული, რომ არსებობდა მოგზაურობის ტექსტის სხვა ხელნაწერი). ეს მოგზაურობა იყო ყველაზე ხანგრძლივი და დიდი მარშრუტისა. ამ მოგზაურობიდან იგი პირდაპირ საქართველოში არ დაბრუნებულა, შუა აზიის გავლით ჩავიდა მოსკოვში. იქ ეტყობა დიდი ინტერესით შეხედნენ მოგზაურს, სახელდახელოდ, თარგმნეს მისი მოგზაურობის ჩანაწერები და მალე დასტამბეს კიდევ იმასაც ფიქრობენ, რომ დედანში ტექსტი ვრცლად და მეტი სისრულით უნდა ყოფილიყო მოცემული.

მოგზაურობის ტექსტში ფართოდ არის მოცემული გეოგრაფიული ცნობები. დაწვრილებით არის აღწერილი ყველა ქალაქი, მოცემულია მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, სასარგებლო წიაღისეული, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, მეურნეობა და სხვა. მოგზაურობის დროს რაფიელ დანიბეგაშვილმა მოინახულა: თურქეთი, არაბეთი, ინდოეთი, ცეილონი, ბირმა, ქაშმირი, ჩინეთი, ცომბირია. ფართოდ განიხილა მათი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, მდებარეობა, ჰავა, პიდროგრაფიული ქსელი, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო და სხვა.

რაფიელ დანიბეგაშვილმა მოგზაურობა თბილისიდან დაიწყო. ჩავიდა ახალციხეში, საიდანაც მალე გაემგზვრა. პირველად არზრუმში ჩავიდა, რომლის მისასვლელ გზას ასე ახასიათებს: „ახალციხე რომ დავტოვე, განვლე თურქთა სამფლობელოს სამხრეთ- აღმოსავლეთი ნაწილი და ოცი დღის შემდეგ არზრუმს მივედი. ახალციხიდან ხსენებულ ქალაქამდე გზა გადის ფრიად მაღალ კლდოვან მთებსა და ამაღლებულ ბორცვებს შორის, რომელთა დიდი სანახაობა ყოველ მოგზაურის თვალს იზიდავს; მე ვერ გავძეხი ბუნების ამ მშვენიერი დიადი სურათის ჭკერტით“. ხოლო ქა არზრუმის მდებარეობას კი ასე: „ქალაქი არზრუმის მდებარეობა საკმაოდ კარგია სიერციით იგი ახალციხეს აღემატება. დაძველებული ნაგებობანი პირველ მათგანში სრულიად არ არის და არც შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ მისი მცხოვრებნი ფრიად მშრომელნი და მდიდარნი არიან და ამის გარდა ცდილობენ ერთიმეორეზე უკეთესი სახლები იჭონიონ; სწორედ ამიტომ არის ამ ქალაქში დიდებული შენობები; ამ ქალაქს ძლიერ ამშვენებენ ჭები, რომ -

ლებიც ყველა ქუჩებში მარმარილოთია ფრიად კარგად მოწყობილია სიმ -  
დიდობის მიუხედავად, ეს ქალაქი შეშის მხრივ ძლიერ ღარიბია, ისე რომ  
მოსახლენი ვანიციდნან რა მის უდიდეს ნაკლებობას, იძულებულნი არიან  
თავიანთი სახლები ცხოველთა ნაკელით გაათბონ; სხვა მოთხოვნილებების  
მხრივ მცხოვრებნი თავიანთი საკუთარით თუ არა, ყოველ შემთხვევაში  
მახლობელ ქალაქებიდან მოტანილით კმაყოფილდებიან<sup>ა</sup>. შეიძლება ზოგი  
სიტყვა არ იყოს მოცემული ისე, როგორც ავტორს ჰქონდა გააზრებული,  
რადგან ტექსტი ჯერ ქართულიდან ითარგმნა რუსულად, შემდეგ კი პირ-  
უკუ (ქართული ტექსტის დედანი დღემდე ნაპოვნი არ არის).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „КОЛОДЕЦ“ რუსული ტექსტიდან ქართუ-  
ლად ითარგმნა, როგორც „ქა“, რაც უზუსტობა უნდა იყოს. გამოკვლევე -  
ბით რაფელ დანიბეგაშვილს მხედველობაში უნდა ჰქონდეს კეთილმოწყო-  
ბილი წყარო-შადრევნები, რომლებიც დამახასიათებელია აზიის თურქე -  
თის ქალაქების ქუჩებისა და მოედნებისათვის თუმცა მკვლევართა ნაწილი  
ფიქრობს, რომ ანატოლიის აღმოსავლეთი მხარისათვის დამახასიათებელია  
სწორედ მდინარისპირა ქა, რომელიც სასმელი წყლის ერთადერთი წყაროა.  
არზრუმიდან მოგზაური მუშს, ხოლო შემდეგ არღანას (ერგანი) ჩადის,  
მერე ფალაში (პალუ) ტექსტში მცირედენი უზუსტობაა იმ მხრივ, რომ  
ჯერ უნდა მოხვედრილიყო ფალაში და მერე არღანაში გაეგლო; არღანა-  
დან იგი მერთინაში (მერდინი) ჩავიდა. რაფელ დანიბეგაშვილი იძლევა  
ცნობებს მდებარეობის, ჰავის, სასარგებლო წიაღისეულის, ჰიდროგრაფი-  
ის, მცენარეების და ეკონომიკის შესახებ. მოგზაურის მიერ მოწოდებული  
ცნობები ძვირფასი წყაროა იმდროინდელი ისტორიისა და გეოგრაფიის აღ-  
სადგენად.

რაფელი შემდეგ ტიგრანაკერტში მისულა, რომელსაც იმ დროს ტიარ-  
ბეჭირი ერქვა. ეს პუნქტი აღნიშნულია 1800 წლის გერმანულ ატლასზეც  
(მდებარეობს მდ. ტიგროსის მარცხენა შენაკად ბითლისზე, დღევანდელი  
სიირტის რაიონში). „ძველად მთელ ქალაქს გარს ერტყა მაგარი ქვის გა-  
ლავანი მაღალიკოშკებით, რომლისგანაც დღემდე მხოლოდ ნანგრევებია  
მოღწეული. ქალაქი განთქმულია თავისი სიდიდით და მის გარშემო არსებუ-  
ლი მშვენიერი სანახებით. მასში ძალზე ბევრია ხეხილი და ამიტომ მისი  
მცხოვრებნი ხილეულით ფრიად სასარგებლო ვაჭრობას ეწევიან. იქაური  
ჰავა ძალზე უწყობს ხელს ნაყოფიერებას, ამიტომ მიწათმოქმედთა შრო-  
მას ყოველთვის უხვი მოსავალი ანაზღაურებს<sup>ა</sup>“.

რაფიელ დანიბეგაშვილი აქედან თხუთმეტი დღის მოგზაურობის შემდეგ მუსოლში ჩავიდა ამ ქალაქის ძველ სახელს მოგზაური ნინივიას აღნიშნავს (სინამდვილეში, ნინივია ასურეთის უძველესი დედაქალაქი იყო, რომლიდანაც 3 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მოსული, დღევანდელი ერაცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი).

მოგზაური ქალაქ მოსულიდან ბაღდადისაკენ გაემგზავრა. ვრცლად ახასიათებს ამ ქალაქსაც: „იგი საკმაოდ დიდი და ლამაზი ქალაქია. გარს არტყია მტკიცედ და ლაზათიანად ნაგები ვალავანია ქალაქში ძალზე ბევრი მცხოვრებია და მრავალი მათგანი საკმაოდ მდიდარია. ისინი ვაჭრობას ეწევიან ევროპელებთან და სხვა ხალხებთან. მათი ქცევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საჭიროა ითქვას, რომ ისინი ამჟამინდელი მოუცლელნი არიან, თუმცა სტუმართმოყვარეობა და გულუხვობაც არ აკლიათ. ქალაქი მდებარეობს მდინარე შატის ორსავე მხარეს, რომელთაგან ერთ მხარეს დიდს, ხოლო მეორეს მცირეს უწოდებენ. . . საკუთრივ ბაბილონელთა გარდა, მრავალი სხვა ეროვნების ხალხიც ცხოვრობს იქ, მაგალითად, ინდოელები, სპარსელები, თურქები, სომხები და ევროპელები. ამ ქალაქში არის გემმისადგომი, რომელიც ინგლისელების განმგებლობაშია. . .“

აქედან, მდ. ეფრატის ხეობაში, იმავე მერიდიანზე მდებარე ახლანდელ ჰილის რაიონში გადავიდა. იგი გვამცნობს ქალაქის ისტორიას და ცდილობს ადგილის ძველი და ახალი ტოპონიმიც წარმოგვიდგინოს, რასაც ყოველთვის და თანმიმდევრულად ვერ აკეთებს. ამავე დროს აგვიწერს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მათ ზნე-ჩვეულებას, აღსანიშნავია, რომ ავტორი აქ მიწათმოქმედებასაც აქცევს ყურადღებას და მას ჰავასთან მჭიდრო კავშირში იხილავს. ამ ხეობიდან რაფიელ დანიბეგაშვილი ჯერ ბასრაში, შემდეგ მასკატში ჩავიდა. გზად გაიარა სპარსეთის უბე. მასკატიდან ბომბაიში (ბომბეი) ჩამოვიდა. აქვე მოგვცა იმ ქალაქების დახასიათება, სადაც თვითონ არც ყოფილა. ბომბეიდან ინდოსტანის დასავლეთ სანაპიროს შემოვლით კუნძულ ცეილონზე გადავიდა, სადაც ჯერ ქ. კოლუმბი (კოლომბო) მოინახულა შემდეგ-ქალაქი მანარია. მან აღწერა ტროპიკული ბუნება და იშვიათი მცენარეები: სანდალოზი, მიხაკი, ჰილი, ღარიჩინი და სხვ. აქვე ზღვის სანაპიროზე იღებენ მარგალიტს—ამბობს ავტორი, არ დავიწყებია პოლიტიკური ამბებიც, მაგალითად, ადრე ცეილონი ჰოლანდიას ეკუთვნოდა, ახლა კი-ინგლისელებო.

(ცილონიდან მოგზაური ინდოსტანის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებ-

ში ჩავიდაა ჯერ ბონდოჩერის ან კოსტ-მალვარს (პონდიშერი), შემდეგ თრაკებრში მივიდა, ხოლო აქედან ქალაქ მადრასშია აქ რაფიელ დანიბე-გაშვილი აღნიშნავს, რომ იგი მიემგზავრება ბეკუში ან რანჰუნში. მეც - ნიერები დღეს სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ ამ ქალაქის მდებარეობაზე. სოლომონ იორდანიშვილი თვლიდა, რომ ეს ქალაქი არის თვით ინდოეთის ტერიტორიაზე პროფესორ ლევან მარუაშვილის აზრით კი - ეს არის ბირმის ძველი დედაქალაქი ბეკუ. ამით, რა თქმა უნდა, მოგზაურის მარ-შრუტი უფრო გაიზარდა და შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადაი-წია ბეკუდან კალკუტისაკენ რა დანიბეგაშვილი ოკეანით გაემგზავრა. ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, გემი დაიშალა. რაფიელი სამ კაცთან ერ-თად ძლივს გადაარჩა. ამის შესახებ იგი წერს: „ბევრჯერ შევეცადეთ ნა-პირს მივდგომოდით, მაგრამ ნიანგების შიშით, რომლებიც აქ ძლიერ ბეგ-რია და ამის გამო, რომ ოკეანის სანაპიროზე მდებარე ტყეებიდან შემზა-რავი ღრიალი მოგვესმოდა, - ვერაფრის გზით ვერ გავებდეთ ნაპირზე გასვლა. მთელის ამ ხნის განმავლობაში (19 დღე - კა ხ.) ბალახეული და ლერწმის ფესვები ჩვენს ერთადერთ საზრდოს შეადგენდა“.

როგორც იქნა მიაღწიეს ჯერ კიკაის მდინარეს (განგის დელტა), შემ-დეგ ბაქარკანსა. აქედან ქალაქ კალკადაში (კალკუტა) ჩავიდა, შემდეგ მდინარე განგის აღმა მიმართულებით, მთელი რიგი ქალაქები გაიარა და ინდოეთის დედაქალაქ დელის მიაღწია. დელიში მისვლამდე მან გაიარა ქა-ლაქი კამბერი (კამპური).

რაფიელ დანიბეგაშვილი გვაწვდის სხვადასხვა ცნობას ქალაქების ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის, ბუნებრივი პირობების შე-სახება. მოგზაური დელიდან ფადიფურს გაემგზავრა, ჩავიდა ლაპორში. აქედან - ნორპორს, რომლის მახლობლად ყოფილა ცეცხლმფრქვეველი პა-ტარა მთა, საიდანაც გამუდმებით ამოდირდა ალი; ეს მთა (ნაპლასი) ცნო-ბილია ბუნებრივი გაზით, რაფიელი აქედან ქაშმირში ჩავიდა. იგი ვრცლად ახასიათებს მის მიდამოებს - რელიეფს, ჰავას, მცენარეულობას, ზნე-ჩვე-ულებებს და სხვა. ქაშმირიდან გადავიდა ტიბეტში, რომელსაც ასე ახა-სიათებს: „იგი ბორცვებზეა გაფენილი; მის ირგვლივ აღმართულია კლდო-ვანი მთები, რომლებზეც ქერის მეტი არაფერი იზრდება“.

როგორც ცნო-ბილია, ქალაქი ტიბეტი არ არსებობს და რაფიელი ლეჰს უნდა გულისხმობ-დეს.

მოგზაური აქედან ქალაქ იარკენტს ჩავიდა. იგი მხატვრულად აღწერს აქაურ ადგილებს. ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ჩვენამდე



მოდწეული თარგმნილი ტექსტის ზოგი ადგილი: „ბუნება მთელი მისი სიღამაზით ჩვენთვის მკვდარი იყო, არავითარ დიად სანახაობებს, არც ფრინველთა საამურ გალობას, რომელიც ოკეანის ნაპირზე გაისმოდა, არ შეეძლო აღმოეფხვრა ჩვენი სულიდან განვლილი საშინელებანია ყველგან. შიში და ძრწოლა გვდევდა და, ჩვენდა საუბედუროდ, არ მოჩანდა ადამიანის არავითარი კვალი. ბოლოს და ბოლოს, ბუნებაში დამყარებულ ღუმელთან ერთად, ჩვენც დავწყნარდით“.

რაფიელ დანიბეგაშვილი საკმაო ხანს გაჩერდა იარკანტში და შემდეგ ჩავიდა სემიპალატში (სემიპალატინსკი), საიდანაც საბოლოოდ მოსკოვს გაემგზავრა.

რაფიელ დანიბეგაშვილის მეოთხე და მეხუთე მოგზაურობის შესახებ მასალები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანებით გახდა ცნობილი; ორორენბურგისა და ომსკის არქივებში გამოვლენილი რაფიელ დანიბეგაშვილისა და სხვა პირთა ჩანაწერებით (მიმართვები, დაკითხვები, ნაამბობი და სხვა) გაირკვა მეოთხე და მეხუთე მოგზაურობის ძირითადი მარშრუტები.

მეოთხე მოგზაურობის მარშრუტი ასეთი უნდა ყოფილიყო: სემიპალატინსკიდან ქაშმირამდე, აქედან—მონგიჰირამდე და უკანა, მეხუთე მოგზაურობა (თ. გენსის ჩანაწერებით) როგორც ჩანს ასტრახანიდან დაიწყო, გადაკვეთა კასპიის ზღვა, სპარსეთის ტერიტორიისა და სპარსეთის უბის გავლით ბომბეიში ჩავიდა. აქედან ლაჰორში, ქაშმირში, შემდეგ ქაბულში, ბუხარისა და ომსკის გავლით ჩავიდა მოსკოვში.

ამრიგად, რაფიელ დანიბეგაშვილმა მოგზაურობაში გაატარა 28 წელიწადი, გაიარა დაახლოებით ორი ეკვატორის ტოლი მანძილი და აღწერა ათზე მეტი სახელმწიფო.

### ნიკოლოზ ონიკაშვილის პეტერბურგული დღიურები

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი სათავეს იღებს თვით ძველი რუსული სახელმწიფოს—კიევის რუსეთის წარმოქმნის დროიდან. ამასთან, არსებობს ცნობები, რომლის მიხედვით ქართველები რუსებსა და მათ წინაპარ აღმოსავლეთ სლავურ ტომებს გაცილებით ადრე იცნობდნენ. საუკუნეების განმავლობაში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცებულა და შუა საუკუნეებში საკმაოდ ძლიერი ყოფილა.

საქართველოს მეფეებს ყოველთვის ჰქონდათ ურთიერთობა რუსეთთან, რაც XVI-XVIII საუკუნეებში კიდევ უფრო განმტკიცდა. ამას კი თავისი წინამძღვრები ჰქონდა; დაქუცმაცებულ საქართველოს არ შეეძლო გამკლავებოდა ირან-ოსმალეთის შემოსევებს. მან არა ერთხელ სცადა დახმარება მიეღო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. ამიტომ ქართველები ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირს ამჯობინებდნენ. ჯერ კიდევ 1563 წელს კახეთის მეფე ლევანმა მოსკოვში ელჩები გაგზავნა, რათა დახმარება მიეღო რუსეთისაგან. მართლაც, ივანე მეფემ მალე გამოგზავნა რუსთა რაზმი, რომელიც კახეთის ციხე-სიმაგრეებში ჩააყენეს. იმავე საუკუნის 80-იან წლებში კვლავ განახლდა სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა. 1585 წელს რუსეთის მეფე თეოდორემ, კახეთის მეფე ალექსანდრეს სიგელი გამოუგზავნა, მფარველობა და პოლიტიკური კავშირი შესთავაზა, რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო პირველი ხელშეკრულება, რომელიც ორივე ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავდა და მართალია ეს პირობა ვერ შესრულდა, რუსეთმა საჭირო დახმარება ვერ აღმოუჩინა კახეთს, მაგრამ ქართველებს ორიენტაცია მაინც რუსეთისაკენ ჰქონდათ. რუსეთთან ურთიერთობას აფართოებდნენ ქართლისა და იმერეთის მეფეებიც. XV II საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების შედეგად მოსკოვში დაარსდა ქართული კოლონია.

1720 წელს რუსეთის მეფე პეტრე პირველისა და ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს შორის დაიდო ხელშეკრულება. ეს იყო მეორე ცდა საქართველოს და რუსეთს შორის მეგობრობის ხელშეკრულების განმტკიცებისა, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. 1724 წელს ვახტანგ მეექვსე იძულებული იყო დიდი ამალით რუსეთს წასულიყო. მის ამალაში შედიოდნენ: ვახუშტი ბაგრატიონი, სულხან-საბა ორბელიანი, გაბრიელ გელოვანი და სხვ. ვახტანგ მეექვსე იმედოვნებდა, რომ რუსთა ხელმწიფე შეძლებდა მის დახმარებას, მაგრამ აქაც იმედი გაუცრუვდა. ვახტანგი 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა.

1737 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთემ დახმარების მისაღებად პეტერბურგში ტიმოთე გაბაშვილი გაგზავნა, მაგრამ ეს ელჩობაც უშედეგოდ დამთავრდა.

საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაუარესდა. ირანისა და ოსმალეთთან კავშირი ქვეყანას განადგურებასა და განვითარებას მოუტანდა. ამიტომ

ქართლის მეფე ერეკლე მეორე იძულებული იყო მფარველობა რუსეთისათვის ეთხოვა. მოლაპარაკება რუსეთსა და ქართლ-კახეთის წარმომადგენლებს შორის დადებითად დამთავრდა. 1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილო კავკასიის ციხენიმაგრე გეორგიევსკში დაიდო ხელშეკრულება /ტრაქტატი/.

მაგრამ ვერც ამ ხელშეკრულებამ უშველა საქართველოს გარეშე მტრების შესაჩერებლად. ამის შემდეგაც არაერთხელ შემოესია ჩვენს ქვეყანას ირანისა და ოსმალეთის გამხეცრებული ლაშქარი, რასაც დაღესტნელ ხანთა თავდასხმებიც ემატებოდა. გარდაიცვალა ერეკლე მეორე, ტახტი მისმა შვილმა გიორგი მეფემ დაიკავა. შფოთსა და არეულობაში სახელმწიფოს მდგომარეობა უიმედო იყო. ამიტომ გიორგი მეფემ სთხოვა რუსეთის მთავრობას ხელშეკრულების პუნქტები შეესრულებინა. 1799 წლის ნოემბერში საქართველოში შემოიყვანეს რუსეთიდან ჯარი, 1800 წლის სექტემბერში კი ერთი ახალი რუსული პოლკი შემოვიდა. მალე გიორგი მეფეც მიიცვალა. ამით ისარგებლა რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა და 1801 წლის 18 იანვარს გამოსცა მანიფესტი, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. აღნიშნული მანიფესტი თბილისში 16-17 თებერვალს გამოქვეყნდა. 1801 წლის 20 იანვრის ბრძანების საფუძველზე „საქართველოს სამეფოს სახლის ყველა წევრი“ პეტერბურგში გაიწვიეს.

1801 წლის მარტში საქართველოდან პეტერბურგს გაემგზავრა ქართველთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მეფის შვილები — იოანე, ბაგრატ, მიხეილ და მათი მხლებლები. ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ნიკოლოზ ონიკაშვილის გადმოცემით ჯგუფში სულ 14 კაცი იყო.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ნიკოლოზ ონიკაშვილის მოგზაურობის აღწერის ორიგინალის ორი, ეგზემპლარი. ხელნაწერი შედგება 88 გვერდისაგან. მოგზაურობი, ტექსტი შეიცავს მთელ რიგ საინტერესო გეოგრაფიულ და სხვა ხასიათის ცნობებს.

ნიკოლოზ ონიკაშვილი საკმაოდ განათლებული პირი იყო. როგორც სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის დანართი გვამცნობს, მან, თელავის სემინარიის სტუდენტმა, ლექსი მიუძღვნა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“. იგი ყოფილა მეფის კართან დაახლოებული პირი, იოანე ბატონიშვილის მდივანი. მას გადაუწერია მრავალი შრომა, კერძოდ, ხრონოგრაფი; გადამწერი—ალ. მაყაშვილი 1809 წელს წერს: „კარგის კაცის, კეთილშობილის სიბრძნით და მეცნიერებით განათლებულის ჩემის სიყვარულის ონიკოვის ნიკოლოზისა“.

ნიკოლოზ ონიკაშვილი ქართველთა ამ ჯგუფს მთელს მგზავრობაში თან ახლდა. მან აღწერა ეს რთული მარშრუტი: რუსეთის დაბა-სოფლებისა და ქალაქების ყოფა-ცხოვრება, ნაგებობები, ადათ-წესები. თხზულება, რომლის სათაურია „მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდე“, უტყუარ ცნობებს შეიცავს მოსკოვისა და პეტერბურგის შესახებ.

მასში აღწერილია ქართველთა მიერ განვლილი გზა იგი მდიდარია გეოგრაფიული და ისტორიული ცნობებითა თვით ჯგუფის წევრთა უმეტესობა შემდგომ ცნობილი მწერლები და მოღვაწენი გახდნენ.

შრომაში მიმოხილულია საქართველოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთი საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე აქვე ავტორი აღნიშნავს: „მსმენელთა ამისთა ძეთა მეფისათა რომელთამე ინებეს წასვლად, და რომელთამე არა: ძეთა გიორგი მეფისათა, იოანე, ბაგრატ, მიხაილ, იწყეს მზადებაი წასასვლელად უმაღლესსა ზედან კარსა, და შემდგომად სრულყოფისა წავიდნენ. წელსა ათას რვაას პირველსა მარტის თვესა შაბათსა“.

ჯგუფმა მოგზაურობა დაიწყო ქალაქ თბილისიდან, ჩავიდნენ მცხეთაში. იქიდან მუხრანისაკენ გაემგზავრნენ: „ადგილნი მწუხარებითა და ვლეთ მუნით და მივიწიენით მუხრანად“. ღამე ღამისყანაში გაატარეს და მეორე დღეს ახალგორში /ახლანდელი ლენინგორი/ გადავიდნენ, იქიდან კი ანანურში. მთიულეთში გაიარეს სოფელი კაიშაური და შეუღდნენ თოვლიან მთებს, გზად გაუვლიათ ჯვარავკედ წოდებული ადგილი, აქედან ხევით ვალავირში. ერთ ადგილას აღნიშნავს: „წავლეთ გზანი ცუდნი წყლიანნი და კლდოვანნი“. „წყალსა მას ზედა დარჩელასს, რომელსა უწოდებენ თრუსოს წყლად, და შემდგომად შეიქმნების თერგი, იღვა მას ზედა ხიდნი ოცდა ოთხნი, რომელთაცა ზედა გაეხედით იმერ და მოვედით ოვსთა სოფელსა მუნ მყოფთა თაგაურთა“.

როგორც ცნობილია, ქართველები მოსკოვსა და პეტერბურგში მიემგზავრებოდნენ ძირითადად ასტრახანისა და ვოლგის გავლით. ამათგან განსხვავებით, 1801 წელს ქართველთა ეს ჯგუფი სხვა მარშრუტით წავიდა: ჩერქეზეთისა და ყაზარდოს გავლით სტავროპოლში ჩავიდა, შემდეგ კი მდინარე დონის გავლით გააგრძელა გზა.

ქალაქს მდინარე დონზე ნიკოლოზ ონიკაშვილი „ჩერქესიას“ უწოდებს. აღწერილობის მიხედვით იგი ახლანდელი დონის როსტოვია. ეს დასტურდება მოსკოვის სამხედრო ისტორიულ არქივში დაცული ერთ-ერთი ძველი რუკიდან. თვით ტექსტში ასეა დახასიათებული: „ქალაქი იგი ჩერქესია მდებარე ძეს დონის პირსა ზედა, მდინარე იგი დონისა ოთხი -

სა ანუ ხუთისა მტკუარისოდენი, წყალი იგი მოდინარეობს აღმოსავლეთით, და წარმოდინარეობს ჩავლით სამხრეთით; რომლისაგანცა შემოდინარეობენ წყალნი ქალაქსა მას შინა ათორმეტს ტოტად, არათუ მცირედად რაოდენობენ ქსანთა და არაგვთა, და არს ქალაქსა მას შინა ქუჩათა ზედა, ხიდნი ერთ ვერსად და ორ ვერსად, განზიდული . . . არს — წყალთა მათ შინა თევზნი მრავალნი გვარნი, რომელსაცა რაოდენობა არ შეიგებთ, რომ თითქოს მუნებურნი ხალხნი ჰსცხვრებენ ვაჭრობითა თევზისათა, რომელნიცა იჭერენ მრავალთ, ამარილებენ, და მოაქუსთ შიგნით რუსეთსა შინა“<sup>ა</sup>. აღნიშნულ ამონაწერში კარგად არის მოცემული, როგორც მდებარეობა, ასევე შედარება ნაცნობ ადგილებთან. იძლევა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სახეს, მათ წეს-ჩვეულებებს: „ქალაქსა მას შინა სახლობენ ჩინებულნი ხალხნი ყაზახისანი, და მცირენი რუსნიცა, ტანისამოსი აცვიათ წესისამებრმათისა, კაცნი ჩინებულნი, მხენნი, მამაცნი, ჰასაკო-ვანნი. . .“

ქართველთა ჯგუფმა სოფელ კამენსკაში გაიარა, აქედან კი ჯგუფის წევრები დღევანდელ შახტის, მილოროვოს, კამენსკას გავლით ვორონეჟში ჩავიდნენ, შემდეგ კი ზაღონსკში, ეფრემოვოს, ბოგოროდიცკას და ტულას გავლით მოსკოვში. აქ ისინი რამდენიმე დღეს დარჩნენ და ყურადღებით დაათვალიერეს ქალაქი. ონიკაშვილმა დაწვრილებით აღწერა ყოველივე, რაც იმდროინდელ მოსკოვში ნახა: კერძოდ, მდიდრულად მოწყობილი სასახლეები, ბაღები, ასევე კვალსაბუთრები, სადაც უამრავი ხეხილი ჰქონიათ. როგორც ნაშრომიდან ჩანს, მოსკოვს მათზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ერთი კვირის შემდეგ ისინი პეტერბურგისაკენ გაემგზავრნენ; გაიარეს 730 ვერსი და 9 დღეში ცარსკოე სელოში შევიდნენ, აქედან კი პეტერბურგში.

აქ ისინი შეხვდნენ გარსევან ჭავჭავაძეს, რომელიც იმხანად მეფე გიორგის მიერ იყო გაგზავნილი მინისტრად. დაწვრილებით არის აღწერილი ნაშრომში ქალაქი, მისი მდებარეობა, ნაგებობები, წარმოება, კულტურა, ხელოვნება და სხვა. . . არს /პეტერბურგი/ ნევისა და ზღვის პირისა ზედა მდებარე, სადიგანცა არს ქალაქსა შინა აქუსთ დიდი არხი შემოტანილი, ესრეთ რომელ ნაგნი დიდროანნი, მუნით შემოვლენ ქალაქსა მას შინა და გავლენ, და აქვსთ ამათ არხთაგანა კვალად არიან სხუანი წვრილნი არხნი, თითქმის ყოველს ქუჩაში გატანილნი და დაფანტული“. როგორც ჩანს, ქალაქს ქართველები განცვიფრებაში მოუყვანია. მათ ერთ-ერთ

სასახლემო უნახავთ ღერბნი, რომელთა შესახებ ნიკოლოზ ონიკა-  
შვილი აღნიშნავს: „ამასთანავე ღერბნი უცხოვრებდნენ, სხუათა და  
სხუათა სამეფოთა, სამთავროთა და სამფლობელოთანი, რომელნიც უპყრიან  
მათ, რომელთაც შინა ღერბად კახეთისა ეხატა წმიდა გიორგი, ღერბად  
ქართლისად მათა, და იმერეთისად თეთრი ცხენი, და ყოველთავე ღერბი იყო  
რიცხვით ორმოცდა ექვსი“.

აგტორი თავის ნაწარმს პეტერბურგის სხვა მნიშვნელოვანი ადგილებ-  
ის აღწერით ამთავრებს მართალია, ნიკოლოზ ონიკაშვილი გეოგრაფი არ  
იყო, მაგრამ მან შეძლო დაწვრილებით აღწერა თავისი მოგზაურობა. ეს  
არის მნიშვნელოვანი ისტორიოგრაფიული წყარო რუსეთ-საქართველოს  
ურთიერთობისა.

### მოგზაურობა პირამიდების ქვეყანაში

XIX საუკუნის ოციან წლებში ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთის  
ქვეყნებში იმოგზაურა დიპლომატმა, მწერალმა და მთარგმნელმა გიორგი  
ავალიშვილმა, იგი მიეცუთენება იმ ქართველ მოგზაურთა რიცხვს, რომ-  
ლებმაც წარმატებით იმოგზაურეს წმინდა ადგილებში და დაგვიტოვეს თა-  
ვიანთი შთაბეჭდილებანი.

გიორგი ავალიშვილის გვარი საკმაოდ ადრე იხსენიება ლიტერატურულ  
და ისტორიულ წყაროებში. XVI საუკუნის დასაწყისში მისი გვარი მრავალჯერ  
არის მოხსენიებული მცხეთის საეკლესიო საბუთში იმედიგმიც ბეგრ-  
ჯერ არის შეტანილი ავალიშვილების გვარი სხვადასხვა ისტორიულ გუ-  
ჯრებსა და ნარატიულ წყაროებში. ამასთან ავალიშვილები საქართველოს  
სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ; ხოლო ბორჯომის ხეობაში შექმნილი  
იყო ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული „საავალიშვილო“ (XV ს.),  
სამცხის თავადებად და ტაშისკარის მფლობელებად ავალიშვილები ბოლომდე  
დარჩნენ, ამასთან, XVII საუკუნეში მათ ქართლშიც მოიპოვეს მამულები.  
1636 წელს როსტომ მეფემ ქაიხოსრო ავალიშვილს უბოძა სოფელი ბრეთი  
(ფლობდნენ აგრეთვე არადეთს, სომანეთს და სხვა). ბრეთის ავალიშვილთა  
განსტეებას მამულები კახეთში მიუღია და იმავე საუკუნიდან იქ დამ-  
კვიდრებულან. სწორედ კახელ ავალიშვილთა შთამომავალია გიორგი ავა-  
ლიშვილი, თვით გიორგი ავალიშვილი თავის დიპლომატიურ საქმიანობას-  
თან დაკავშირებით მრავალჯერ არის ნახსენები სიგელ-გუჯრებში.  
გიორგი ავალიშვილი დაიბადა 1769 წელს. მისი მამა იოანე ერეკლე მე-

ორქსთან დაახლოებული პირი ყოფილა. გიორგის შვიდი წელიწადი — მძინარი ჰყავდა. ბავშვებს დედა ადრე გარდაეცვალათ და მათ აღზრდაზე დიდი ამბავი დასალო გიორგის უფროსმა დამ მარიამმა (გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე) მარიამი განათლებული, ჭკვიანი და გავლენიანი ქალი იყო, რომელმაც კარგად იცოდა განათლების ფასი. მან ყველა ღონე იხმარა, რომ ძმებისათვის შესაფერისი განათლება მიეცა.

15 წლის ჭაბუკი გიორგი ერეკლე მეორემ გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად პეტერბურგში გაგზავნა. საქართველოში მას უკვე მიღებული ჰქონდა შესაფერისი განათლება, ადრე შეუსწავლია რუსული ენა. ამიტომაც ერეკლეს გადაწყვეტილება, გიორგის დიპლომატად მომზადებისას, წინადადება იყო. გარსევანის მეთვალყურეობით გიორგემ დაიწყო მზადება და მალე გარსევანის მდივანად დაინიშნა, გიორგი ავალიშვილი გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად საქართველოს უცვლელი წარმომადგენელი იყო რუსეთში 1784-1802 წლებში.

1791 წელს, ერეკლე მეფემ გიორგი ავალიშვილი დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის სპარსეთის აზერბაიჯანში გაგზავნა (ეს წლები საქართველოსათვის მეტად მძიმე პერიოდი იყო), სამწუხაროდ, გიორგის ამ მოგზაურობის შესახებ აღწერილობა არ შემოგვრჩა.

გიორგი ავალიშვილმა ერეკლე მეორის კარზე დააარსა ქართული თეატრი, სადაც იღვმებოდა 1791 — 1795 წლებში მისი ნათარგმნი და ორიგინალური პიესები. ამდენად, გიორგი ავალიშვილი ითვლება ქართული თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლადაც.

საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტის გამოცხადების შემდეგ გარსევან ჭავჭავაძეს და გიორგი ავალიშვილს ბატონიშვილთა წრეში ამრეზითა და ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. დიდ ნდობას არც მეფის მთავრობა უცხადებდა. რუსული მმართველობა მათ ბოლომდე არ ენდობოდა და მიზანშეწონილად მიაჩნდა მათი საქართველოდან მოცილება. ამიტომ მათ მოდმივ საცხოვრებლად რუსეთი მიუჩინეს. 1803 წლიდან გიორგი ავალიშვილი განთავისუფლდა დიპლომატიური საქმიანობიდან და ამის შემდეგ ხან პეტერბურგში ცხოვრობდა, ხან მოსკოვში.

1818 წელს გიორგი ავალიშვილი თბილისში ჩამოვიდა, სადაც მან აღძრა შუამდგომლობა ერმოლოვის (სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი კავკასიაში) წინაშე, რათა მისთვის ეგვიპტეში გამგზავრების ნება დაერთოთ. 1819 წლის 22 თებერვალს გიორგი ავალიშვილმა მიიღო ნებართვა და უცხოეთის პასპორტი. იმავე წლის ზაფხულში იგი გაემგზავრა

შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ, რის შემდეგაც დაგვიტოვა ნანახი აღ-  
ვილები. შთაბეჭდილებანია გიორგი ავალიშვილის შემოქმედებაში თვალ-  
საჩინო ადგილი ჟღერავს მემორიალური უნარის ნაშრომს „მოგზავრობა“.  
შეკვლევართა აზრით იგი სხვადასხვა მიზნით მოგზაურობდა; ზოგის აზრით  
ეს მოგზაურობა დიპლომატიური მისიით იყო გამოწვეული, ზოგი კი ფიქ-  
რობს, რომ მას წმინდა ადგილების ნახვა სურდა. აქადემიკოს ელენე მეტ-  
რეველის აზრით მოგზაურობისას გიორგი მთლიანად ჩამოშორებული იყო  
დიპლომატიურ საქმიანობას და ამდენად, მოგზაურობაც დიპლომატიურ  
მიზნებს არ ემსახურებოდა. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, გიორგი ავალი-  
შვილი სამემკვიდრეო საქმეების მოსაგვარებლად იყო ეგვიპტეში. რა თქმა  
უნდა, მართო ეს არ იყო მიზეზი, რადგან გიორგი, გარდა ეგვიპტისა ეწ-  
ვია იერუსალიმს, მის მიდამოებს, თურქეთს და სხვა. გიორგი ავალიშვი-  
ლის მოგზაურობის მარშრუტი მოიცავს 5 სახმელეთო და 4 საზღვაო მო-  
ნაკვეთს, რომელთა საერთო სიგრძე 6500 კმ-ს უდრის. როგორც ცნობილია,  
გიორგის ბავშვობიდანვე იტაცებდა მოგზაურობა.

ნაშრომში იგი თავის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს სამოგზაურო  
დღიურების სახით. რის მიხედვითაც შეგვიძლია ზუსტად ვანდგინოთ  
მოგზაურობის ხანგრძლიობა და მარშრუტი; იგი იწყება 1819 წლის 6 ივ-  
ლისს და მთავრდება 1820 წლის 17 ივლისს, წიგნი იყიფა ორ ნაწილად:  
პირველი მოგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე და მეორე—მგზავრობა  
იერუსალიმიდან თბილისამდე.

გიორგი ავალიშვილმა გაცილებით ნაკლები დრო მოანდომა მოგზაურო-  
ბას, ვიდრე სხვა ქართველმა მოგზაურებმა და დაწვრილებით გადმოგვცა  
თავისი შთაბეჭდილებები. მცირე დროის მიუხედავად, გიორგი ავალიშვილ-  
მა წარმატებით გადალახა ყველა ის დაბრკოლება, რომელიც მას მოგზა-  
ურობის დროს არაერთხელ შეხვდა.

გიორგი ავალიშვილი ავლენს ღრმა ცოდნას. მოგზაური გვაწვდის რო-  
გორც ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ისე ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ცნობებს.  
იგი ხშირად მხატვრულად აღწერს ბუნებას და მის მოვლენებს; დაწვრი-  
ლებით გადმოგვცემს ყოველი მნიშვნელოვანი ადგილის მდებარეობას, ზოგ-  
ჯერ გვაწვდის ცნობებს ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის, ავსრუთე მცე-  
ნარეთა სახეებისა და შემადგენლობის შესახებ. იგი კარგად იცნობს რუ-  
კებს და გეგმებს, რომელთა ნაწილს თავის მოგზაურობის ტექსტში იძლევა.  
ამავე დროს, აღწერს ყველა ღირსშესანიშნაობას და კრიტიკულად უდგე-  
ბა მათ.



ეკონომიკურ-გეოგრაფიული ცნობებიდან ყურადღებას იქცევს მასა-  
ლები მოსახლეობის შემადგენლობის, რაოდენობისა და მათი საქმიანობის  
შესახებ, დართოდ წარმოგვიდგენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეო-  
ბის მთელი რიგი დარგების მონაცემებს. გიორგი ავალიშვილი არ იფიქსებს  
ისტორიულ წარსულსაც და საკმაოდ დამაჯერებელი მსჯელობით გადმოგ-  
ცემს ბევრ ღირსშესანიშნავ მოვლენას და ფაქტს.

მეტად თავისებური და რთულია გიორგი ავალიშვილის მოგზაურობის  
მარშრუტი, რომელიც კარგად ჩანს დანართი სქემატური რუკიდან. იგი  
ბევრად არ ჩამოუვარდება ტიმოთე გაბაშვილისა და იონა გედეკიანიშვი-  
ლის მოგზაურობის მარშრუტებს.

გიორგი ავალიშვილმა მოგზაურობა დაიწყო თბილისიდან, იგი ახლობ-  
ლებმა და ნაცნობებმა საბურთალომდე /იმ დროს თბილისის გარეთ ითვლე-  
ბოდა /გააცილეს. მცხეთის ვაკლით გადავიდა დართისკარშია შემდეგ  
ჩავიდა მურბანში, მოგზაურობის დროს ვზადავა ზირდებოდა ღამის გა-  
სათევად ათვალიერებდა დაინიშნავდა მოგზაურობათა დღიურებში ღირს-  
შესანიშნაობებს, დაათვალიერა და აღწერა ქალაქი გორი, მისი მდებარე-  
ობა: „გორი ესე იპყრობის რაოდენსე აღაგ-მდგმოებითა თვისითა შეუ-  
ნიერებასა ბუნებისა წიერ მინიჭებულსა... დასავლეთით აჭუს ვალაღი  
გორი ზედ ციხემუნენით, ჩადილოთ მოუღის ღიახვი და ვრთვის მტკუარ-  
სა სამხროთ ამის მომდინარესა“. აქვე მოგზაური საინტერესო ცხობებს  
გაწვდის. საჭარბველოს გეოგრაფიისა და ისტორიის შესახებ მის მიერ  
შაწოდებულ ბევრ საყურადღებო მასალას დღესაც არ დაუკარგავს მნიშ-  
ვნელობა.

გორიდან გადავიდა იმერეთში, ჯერ ზესთაფონში, /ზესტაფონი/, შემ-  
დეგ ქუთაისში. დეტალურად დაათვალიერა ქუთაისის შემოგარენი, იყო  
მწვანე ყვავილანი, გელათსა და მოწამეთაში დაწვრილებით და ზუსტად  
აღწერა ველათის კომპლექსი, ტაძრების მშენებლობა, მხატვრობა და სხვ.  
ქუთაისიდან შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაემგზავრა კოლხეთის დაბლობ-  
ის ვაკლით იგი ჩავიდა რედუთ-კალაში /ყულევი/. აქ ცოტა ხანს დაყოფ-  
და იგი აზანიათებს მის მიდამოებს, როგორც ქაობიანს, უხვ ნალექიანსა  
და ჯანმრთელობისათვის უფარვისს.

გიორგი ავალიშვილმა აქედან შავი ზღვის შემოვლით დაიწყო მოგ-  
ზაურობა. იგი ჯერ სოხუმი-კალაში /სოხუმი/ ჩავიდა, იქიდან ყირიმში  
შავი ზღვის სანაპიროსაკენ, ბაღჩისარაი, სიმფეროპოლი, ევატორია და ბოლოს  
სამარია-სოხუმისაკენ გაემგზავრა.

კონსტანტინოპოლში მან დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობები და აღწერა მისგან დაშორებული ბევრი პუნქტიც.

მოგზაური მარშარილოს ზღვით ვაევიდა ჩანახ-კალაში, „ჩანახ-კალი“ ესე არს სოფელი ბორცუსა და ფერდობთა ზედა ამისთა შენებული, ვენახ-ბაღებითა, ქარის წისქვილებითა და წყაროებითა მდიდარი, თანასწორ ვითარ ბაზრითაცა არს ეკლესიაი ბერძენთა და ჯამი მინარინი თათართა; ესრეთუე სასწავლებელი ბერძენთა, რომელსაცა შინა სწავლობენ ყრმანი ელლინურსა ენასა, ბერძულსა დღეს აქა საზოგადოდ ხმარებულსა, იტალიანურსა და თათრულსა, სამხრით კერძო სოფელსა ამას, სიახლოესა თვისსა ვაკესა ადგილსა, აქუს ციხე ზღვისპირსა მდებარეი, თლილთა ქვითა აღშენებული, საკმაოდ დიდი და ბატარეი თლილთავე ქუთაი, განმავრებული ყოვლითა საქიროითა იარაღითა, მოგერებად მტერთა და დაცუად თავისა თვისისა“. ამონაწერიდან ჩანს, რომ მოგზაური ყურადღებას აქცევს ადგილის კომპლექსურ დახასიათებას-მდებარეობას, რელიეფს, მცენარეულობას, ჰავას, ჰიდროგრაფიას, საეკლესიო საქმიანობას, ეროვნულ შემადგენლობას, განათლებას, შენებულობას, სამხედრო საქმეს და სხვა.

ამის შემდეგ მოგზაური ბოლჩა-ადაში /ტენელოსი/ მივიდა, სადაც მან ათონის მთა და ანატოლიის მხარე დაინახა. ეს ადგილი ეგეოსის ზღვაში მდებარეობს მცირე აზიასა და საბერძენეთს შორის. როგორც ირკვევა ამ ადგილებში იონა გედევანიშვილსაც უმოგზაურია.

გიორგი ავალიშვილი ეგეოსის ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულების-ხიოსის, სამოსის, როდოსის და სხვა გავლით აფრიკაში ჩავიდა.

ალექსანდრიაში მოგზაური განაცვიფრა უდიდესმა ბიბლიოთეკამ, თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იმ დროისათვის უკვე განადგურებული იყო. განსაკუთრებით კარგად აგვიწერა იქაური ბუნება. იგი აღნიშნავდა, რომ ჰავეა მეტად მშრალია და მოსახლეობა განიცდის წყლის ნაკლებობას, ამიტომ წყალს ინახავენ წლიდან წლამდეო. ახასიათებს მდ. ნილოსს, მის მნიშვნელობას მოსახლეობისათვის. აქედან გიორგი როშეტისა და სხვა დასახლებული პუნქტების გავლით ჩავიდა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში. აქამდე მისი მარშარუტი რამდენადმე ემთხვევა იონა გედევანიშვილის მოგზაურობის მარშარუტს. მაგრამ ამის შემდეგ მკვეთრად იცვლება.

გიორგი ავალიშვილი დაწვრილებით აღწერს მცენარეებს, განსაკუთრებით მცენარე ბანანს და მის ნაყოფს, ვეიხასიათებს ადგილის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას, ჰავას, მცენარეებს, გვაწვდის ცნობებს

მისი მოსახლეობის რაოდენობის, ეროვნული შემადგენლობის, ისტორიის, ნაგებობების, მოსავლისა და სხვათა შესახებ. როგორც ჩანს, მას ხელთ ჰქონდა ტემპერატურული მონაცემებიც, რადგან წერდა: „სიცხე ჰაერისა ანუ ტაროსისა ოკლმბერსა, ნოემბერსა, დეკემბერსა და იანვარსა შინა აღემატების ჩულებრივსა. ხარისხსა თვისსა, ესე იგი 44-სა და მიაწვეს 54-ით 58-მდე გრადუსად ქალაქისა გარე, ზამთრისა ჰაერსა რიცხუენ აქა ფებერვლის 21-ის რიცხვით მარტის 9 რიცხუადმდე; ხოლო სხუათა თთუეთა და დროთა შინა სიცხე არ დაჰხდების აროდეს 38-ს გრადუსადმდე“. ელიზე რეკლიუს ცნობით, აქ 44-47 გრადუსი სიცხე შეიძლება იყოს.

ცნობილია, რომ ეგვიპტეში ნალექი მცირე რაოდენობით მოდის. იშვიათად წვიმს, ხშირად რამდენიმე წელიწადს წვიმა არ მოდის. მაგალითად, ელიზე რეკლიუს ცნობით 1886-1893 წლებში მხოლოდ 215 მმ ნალექი მოსულა. იანვრის ბოლო რიცხვებში, გიორგი ავალიშვილის ეგვიპტეში ყოფნის დროს მოსულა წვიმა: „დილით 11-სა უამსა მოვიდა წვიმა ანუ, უმჯობესად ვსთქვათ, არა წვიმა, არამედ ცვრევაი ცუართა, ძნად სახილველთა, ვიდრე ექვსს წამადმდე, რომლისა ძლითცა ჰსჩანდა შორის მცხოვრებთა მოულოდებელი განკვირებები და სიხარული“. სულ სხვა სურათს აგვიწერს მოგზაური კვიპროსში ყოფნის დროს: „შევედით რა ოთაღსა, იწყო წვიმაი, ესრეთ ვითარმედ, ეგინებოდის კაცსა, რამეთუ მდინარენი და ზღვანი და მოიღვრებოდიანყე ზეცით ქუეყანად“. აღწერიდან ჩანს, თუ როგორ განსხვავდება ჰავის მიხედვით ტერიტორიულად არცთუ ძლიერ დაშორებული ადგილები ერთმანეთისაგან.

ასევე განსხვავდება მათი მცენარეები, რაც გამოწვეულია კლიმატური პირობების სხვადასხვაობით. ეგვიპტეში არის „ბაღნი შაქრისა ჩალათა ანუ ლელწამთა, ბაღნი ჩუეულებრივნი ვაზ-ხეხილიანნი, ბაღნი ფინიკთა და ბოსტანნი კერძოთა ხელთა შინა მყოფნი არიან აღწერილი“. კვიპროსის შესახებ კი „... არს ბუნებისა გამო ყოვლითურთ შემკობილი და განმდიდრებული მთებითა, ბართა, ვენახ-ბაღ-ბოსტნებითა, ტყითა, ტკბილითა მდინარ-წყაროებითა და ზღვითა... თუმცა ჰალაკსა /კუნძული- კახა/ ამას შინა არიან ლითონნი, არამედ თვინიერ ყოვლისა სარგებლობისა; მიწაი იძლეევის პურსა, ბრინჯსა, მამბასა, ზეთსა, ფინიკსა და პირად-პირადთა ხილ-მარცულთა უხუებით და ღვინოსა თვით უმჯობესსა თუთიქვმის სრულსა საბერძნეთსა შინა“. ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, თუ რა გავლენას ახდენენ ჰავის პირობები მცენარეულობაზე და მოსავალზე. ამ მხრივ

ჩვენი მოგზაური მიზეზ—მედევობრივ კავშირში განიხილავს ჰავისა და მცენარეულობის დამოკიდებულებას.

ქალაქ კაიროში გიორგი ავალიშვილს ძალზე აინტერესებდა აგრეთვე ეკონომიკა; მან აქ ნახა ბამბის ფაბრიკა, აღწერა ბამბის გადამამუშავების პროცესები, გამოშვებული პროდუქცია დაათვალიერა საბრძოლო იარაღებისა და სხვა ქარხნები, ქალაქის გარეუბნები.

გიორგი ავალიშვილი ეგვიპტეში შეხვდა მონებად გაყიდულ ქართვებს. იგი მათ „ნაქართველარებს“ უწოდებს. კაიროს მახლობლად ნახა ძველი ეგვიპტის პირამიდები, ჩაიხატა ზოგიერთი მათგანი და დაუროთ თავისი მოგზაურობის ტექსტს. გიორგიმ აღწერა ხეოფის პირამიდა /დაახლოებით 147 მ სიმაღლის/, მოახერხა რამდენიმე მუმიის წამოღებაც და ძველი გზით ჩამოიტანა პეტერბურგში. ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“.

ეგვიპტიდან გიორგი ავალიშვილი იერუსალიმისაკენ გაემგზავრა. მოგზაური ჩავიდა, ლაზაში, შემდეგ იაფაში და მიაღწია იერუსალიმს, მან დაწვრილებით აგვიწერა არქიტექტურული ძეგლები. ნახა აღდგომის, ბეთლემისა და გოლგოთის ტაძრები, დაათვალიერა იერუსალიმის გარეუბნები. განსაკუთრებით საინტერესო ცნობები მოგვანოდა მკვდარი ზღვის შესახებ: აგვიწერა მისი მდებარეობა, სიდიდე, მოგვცა ამ ზღვის სახელწოდება სხვადასხვა ენაზე. როგორც ჩანს მან კარგად იცოდა უცხოური ლიტერატურა, რადგან ხშირად ასახელებს სტრაბონს, სტეფანე ბიზანტიელს და სხვა.

გიორგი ავალიშვილი საქართველოში სხვა მარშრუტით დაბრუნდა. იგი ხმელთაშუა ზღვით მცირე აზიისაკენ წავიდა, გზად გაიარა კუნძული კვიპროსი და საკმაოდ დეტალურად დაახასიათა იგი. აქედან იგი გემით მერსინისაკენ წავიდა, რომლის მახლობლად ჭოგრით დაინახა მთები და მდინარის შესართავი, რომელთა სახელები ტექსტში არასწორადაა მოცემული: „ვიარეთ 34 უამი, მოვეახლოენით მერსინია სოფელსა, დავინახეთ ჭოგრითა მთაი დალესტანისა, რომელსაც ზედა ცხოვრებენ ერნი ავაზაკნი და ურჩი ოთომანის პორტის მმართველობისა; ვიხილეთ ესრეთუე შეერთებაი ცა ეფრატ მდინარეისა ზღვისა ამისთახა, ხოლო მოწვენილი მშვიდობითა ულიმენაოსა ნავთსადგურსა, ახლოს მერსინია სოფლისა შემდგომად შუვადლეისა პირველსა უამსა და მპოვნელნი ხუთთაცა სხუათა ნავთა, დასდევით ღუშათა ზედა; ხოლო ხმელეთზე მისვლისას და თარსუსაკენ მიმავალ გზაზე შეჩერებისას იგი აღნიშნავს: „უკეთუმცა დროსა ამას და

ესევეთარსა ადგილსა, რომელთა მოგვცუენ აღმოსავლეთით ზღუაი და  
საველეთით მთანი დაღისტანისა ეფრატ მდინარეთურთ...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოგზაურმა საყოველთაოდ ცნობილი მდი-  
ნარე ეფერატის შესართავი ან დაღესტნის მთები დაინახა. სინამდვილე-  
ში გიორგი ავალიშვილმა მცირე აზიის ნახევარკუნძულზე მდებარე ცენ-  
ტრალური ტავრის სამხრეთი კალთები და მდინარე სიუნი /ახლანდელი  
სეიხანი/ დაინახა.

როგორც ჩანს, მოგზაური ყოველთვის კრიტიკულად ვერ უდგება გეოგ-  
რაფიული სახელების ვადმოცემას; საქმე ისაა, რომ ადგილობრივი მოსა-  
ხლეობა ამა თუ იმ სახელს რამდენიმე ვარიანტით იცნობს, ზოგჯერ კი  
მათი ვადმოცემა უცხო ენაზე მახინჯდება, ამ შემთხვევაში გიორგი ავა-  
ლიშვილი „დაღესტნის მთებს“ ბულგარდავის მთებს უწოდებს. სიტყვა  
„დაღესტან“ თათრულად მთიან ქვეყანას ანუ მთებს ნიშნავს.

გიორგი ავალიშვილის მიერ აღწერილი მთები ჰგავს ელიზე რეკლიუს  
მიერ დახასიათებულ ამავე მთებს: „ეს ის მთაგრეხილია, რომელსაც ზღვის  
სანაპიროდან მოგზაურები ჩრდილო ჰორიზონტზე ამჩნევენ და უპირა-  
ტესად «ტავრს» უწოდებენ. ეს სინამდვილეში, ერთ-ერთი უმაღლესი  
მთაგრეხილია მცირე აზიაში, რომელიც თავისი თხემის დაკბილული პრო-  
ფილით და მდიდარი მცენარეული საფარით მოგვაგონებს დასავლეთ ევრო-  
პის მთებს“.

რაც შეეხება ეფრატს, ეს იქვე მდებარე სიუნი ან, უკიდურეს შემთხვე-  
ვაში, ჯიუნია /ახლანდელი ჯეიხანი/ ცნობილია, რომ ჯიუნი, უფრო სწო-  
რად ჯეონი ამუდარიის ძველი სახელია, სიუნი კი სირდარიის ძველი სახე-  
ლია იყო შემთხვევები, როცა წყვილი მდინარეების სახელები ვადაპქონდათ  
სხვა მხარეებშია ასეა სირდარიისა და ამუდარიის სახელებია ალბათ ასევე  
იყო ტივრისა და ეფერატის სახელების ვადატანაც წყვილ მდინარეებზე.  
იგივე ელიზე რეკლიუს წერს: „მოხეტიალე მდინარეები უპირატესად შეი-  
ძლება დავარქვათ აღმოსავლეთ კილიკიის მხოლოდ ორ მდინარეს—სარსა და  
პირამს, რომლებსაც თურქები და არაბები სეიფუნს, სივანს, სარანს და ჯი-  
გუნს (ჯივანს) ეძახიან ან კიდევ თურქისტანის იგივე სახელწოდების ორი  
დიდი მდინარის, ამჟამად ცნობილ სირდარიისა და ამუდარიის აღსანიშნა-  
ვად, ან კიდევ მიანიშნებენ მითიური სამოთხის ორ ნაკადზე“.

ამრიგად, გიორგი ავალიშვილმა დაღისტნის მთებად მიიჩნია სამხრეთ  
ტავრიის მთები, ხოლო მდინარე ეფერატად კი მდინარე სიუნი.

თურქეთის ტერიტორიის გავლით გიორგი ავალიშვილი სამშობლოსაკენ გამოემგზავრა. ძნელი გზებისა და შიშის მხარეების გადმოვლით ქალაქ კაისარიისაში ჩამოვიდა, სადაც დაწვრილებით აღწერა მისი მიდამოები. გამოიარა ქალაქები არზრუმში, ჰასან-კალა, კარი და სხვა და მარნეულის გამოვლით 1820 წელს თბილისში დაბრუნდა.

ვინაიდან გიორგი ავალიშვილს თბილისში ცხოვრების ნება არ ჰქონდა კვლავ პეტერბურგში გაემგზავრა. ცოტა ხნის შემდეგ ითხოვა საზღვარგარეთ კვლავ გამგზავრების ან საქართველოში დაბრუნების ნებაოთვა. საზღვარგარეთ გამგზავრებაზე გიორგის უარი ეთქვა იმ მიზეზით, რომ მგზავრობა შეიძლება სახიფათო ყოფილიყო მისთვის. საქართველოში დაბრუნება შესაძლებლად მიიჩნიეს, მაგრამ ეს ნებაოთვა მან მაინც ვერ მიიღო. 1822 წელს გიორგიმ ცოლად შეირთო დიმიტრი ბაგრატიონის ასული ელისაბედი და მუდმივ საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მიუხედავად ეკონომიკური გაჭირვებისა, გიორგის სახლი მუდამ ღია იყო მრსკოვის ემიგრანტ ქართველებისათვის და საქართველოდან ჩასული სტუმრებისათვის. მისი სახლი ლიტერატურულ სალონად გადაიქცა, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი ბატონიშვილები და რუსეთში ემიგრირებული ქართველი თავადები. 1831 წელს მოსკოვში ჩასული გრიგოლ ორბელიანი რამდენჯერმე ეწვია გიორგი ავალიშვილს.

მთელი სი ცოცხლის განმავლობაში გიორგი ავალიშვილი ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა; რუსულიდან თარგმნიდა სხვადასხვა ჟანრისა და ლიტერატურული მიმართულების თხზულებებს, წერდა ლექსებს და დრამებს, ადგენდა ლიტერატურულ ანთოლოგიებს. ამასთან იგი დიდი ცოდნითა და სიყვარულით აგროვებდა ქართულ ხელნაწერებს და იმეორით წიგნებს.

მიუხედავად მოსკოვში ცხოვრებისა, გიორგი ავალიშვილს არ შეუწყვეტია კავშირი პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრებთან. მუდმივით თანამშრომლობდა იგი მარი ბროსესთანაც. სიციცხლის ბოლო წლებში იგი მამული იყო იმ დიდ სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობაში, რომელიც გაჩაღებული იყო პეტერბურგისა და მოსკოვის ქართველ ემიგრანტთა შორის.

გიორგი ავალიშვილი 1850 წელს გარდაიცვალა მოსკოვში და დაკრძალულია იქვე, ვსესვიატსკოეში („სვესენწკა“).

გიორგი ავალიშვილი იყო იმ დროისათვის ყოველმხრივ განათლებული პიროვნება, რომელსაც კარგად ეხერხებოდა ნაწახი ადგილების დახასიათება.

მისი გეოგრაფიული ცოდნა იმ დროისათვის საკმაოდ მდიდარია, ამიტომ მისი ნაშრომი „მგზავრობა“ მუდამ დარჩება ქართული სამოგზაურო ისტორიის ღირსეულ ლიტერატურულ ძეგლად.

### თეიმურაზ ბაგრატიონი სპარსეთში, რუსეთსა და ევროპაში

თეიმურაზ ბაგრატიონი მეცნიერი, მწერალი და მოგზაური პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელი, პირველი ქართველი აკადემიკოსია.

თეიმურაზ ბაგრატიონი დაიბადა 1782 წლის 23 აპრილს /4 მაისს/ მამა, ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII იყო, დედა - ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის ასული-ქეთევანია. მათ ცხრა შვილი ჰყავდათ (დავითი, იოანე, ბაგრატი, თეიმურაზი, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე, ბარბარე). თეიმურაზი ყველაზე უმცროსი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა, მას მზრუნველობას არ აკლებდა ერეკლე მეორე. სახელიც მას შეურჩევია თეიმურაზისათვის.

იგი თელავში იზრდებოდა და მის სწავლა-აღზრდას იქვე სემინარიის რექტორი, ცნობილი მწერალი და კალიგრაფი დავით ალექსი-მესხიშვილი ხელმძღვანელობდა. აქ შეისწავლა მან ქართული ენა, ისტორია, ფილოსოფია და ეთიკა. გარდა ამისა, თეიმურაზის აღზრდაში მონაწილეობდნენ მისი უფროსი ძმები დავითი და იოანე.

თეიმურაზმა შესაფერისი განათლება მიიღო. საუკუნის მიწურულს, მამის სიცოცხლეშივე ჩაება სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. იგი ხელს აწერდა სამეფო კარის გაცემულ საბუთებს. აღსანიშნავია, რომ მის მიერ არის ხელმოწერილი რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთში გაგზავნის სიგელი. მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ თეიმურაზი ამ საქმიანობას ჩამოაშორა. მანაფესტის თანახმად საქართველოს სამეფო ოჯახის ყველა წევრი თბილისიდან პეტერბურგში უნდა გადასახლებულიყო. საცხოვრებლად 1801 წლის 9 მარტს პეტერბურგის გაემგზავრნენ იოანე, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილები.

1803 წლის 19 თებერვალს რუსეთში გაიგზავნა ვახტანგ ერეკლეს ძე და დავით გიორგის ძე, შემდეგ კი იოანე ბატონიშვილის ცოლი ქეთევან წერეთელი. ამავე წლის აპრილში ვორონეჟში გადაასახლეს მარიამ დედოფალი, თამარ და ჯიბრაილ ბატონიშვილები.

1803 წლის თებერვალში თეიმურაზ ბატონიშვილმა რუსეთში წასვლის სპარსეთში გადახვეწა არჩია.

თბილისიდან გაქცეული თეიმურაზი ტყვედ ჩაუვარდა დაღესტნელ ლეკებს. მათ თეიმურაზი დაღესტანში წაიყვანეს, მაგრამ გზად თვით ლეკებს შორის ჩამოგარდა უთანხმოება და ისინი ბელაქანში შეჩერდნენ. ამ დროს ბელაქანში იმყოფებოდა სპარსეთში გაქცეული თეიმურაზის ბიძა ალექსანდრე. 1803 წლის 13 მარტს მათ სპარსეთისაკენ ერთად აიღეს გეზი. ყარაბაღის გავლით თავრიზში ჩავიდნენ. აქ ისინი მიიღო თავრიზის ბეგლარ-ბეგმა ახმედ ხანმა. თავრიზიდან ქართველი ბატონიშვილები ყაენმა თეირანში გაიწვია.

თეიმურაზ ბაგრატიონი ფათ-ალი-შაჰთან ცდილობდა საერთო ენის გამოწინაგას და მისი დახმარებით საქართველოს რუსეთისაგან გამოხსნას. შაჰი დაპირებას არ აკლებდა. თუმცა მას თავისი ინტერესები ამოძრავებდა.

საქართველოში მყოფი რუსი მმართველები ყოველნაირად ცდილობდნენ თეიმურაზის დაბრუნებას; გზად ბევრი წერილიც დაადევნეს, შემდეგ სპარსეთში წერილებთან ერთად კაცებიც მიუგზავნეს, ემუდარებოდნენ უკან დაბრუნებულიყო ქართველი ბატონიშვილი უარზე იდგა.

ერევნისა და ნახიჭევანის ხანების აღაგმვისა და განჯის დაბრუნების გარდა, შაჰს სურდა საქართველოსათვის ჩამოეშორებინა რუსეთი. 1804 წლის 30 ივნისს რუსებმა ეჩმიაძინთან დამარცხეს ირანის ლაშქარი, შემდეგ ერევანთან ციციანოვმა ახალი დამარცხება აგემა სპარსელებს. 1805 წლის ზაფხულში რუსეთ-ირანს შორის კვლავ ბრძოლები გაიმართა ერთ-ერთი შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა თეიმურაზ ბაგრატიონი. მალე იგი ერევნის ხანის ლაშქარში ჩაირიცხა, საიდანაც ახალციხეში გადავიდა. ამგვარად ცდილობდა ახალციხის ფაშასაგან მიეღო დახმარება. მაგრამ უიმედოდ დარჩენილი 1805 წლის დეკემბერში ისევ ირანში გაემგზავრა. ნახარა, რომ სპარსეთსა და ოსმალეთში მიზანს ვერ მიაღწია თეიმურაზმა ორიენტაცია საფრანგეთზე აიღო. როგორც ვარაუდობენ, თეიმურაზმა იმხანად კავშირი დაამყარა სპარსეთში ნაპოლეონის ელჩობასთან.

თეიმურაზი სპარსეთში სამწერლო - კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდა; ეცნობოდა ირანის ისტორიას, ლიტერატურას; დაეუფლა უცხო ენებს; შეისწავლა სპარსული, თურქული, ფრანგული, იტალიური ენები. სპარსულიდან თარგმნა: „ათნი გვირგვინი, ქმნილი ანუშევეან სპარსთა მეფისა-



განა...“ დაწერა „მცირე წიგნი პრაქტიკა არტილერიისა“ /1808 წ./, „და -  
ეთარი თოფჩებისა სრული“ /1806 წ./ იგი ცდილობდა, აგრეთვე, სპარსეთში  
გაფანტული ქართული ხელნაწერების შეგროვებას, სპარსეთშივე შეადგი-  
ნა „იტალიურ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი“<sup>4</sup>. გარდა ამისა, თეიმურაზ  
ბაგრატიონს დაუწერია სპარსეთში მოგზაურობის შესახებ „სპარსული  
დღიურები“<sup>5</sup> ანუ როგორც ერთგან თვითონ აღნიშნავს „სისხლიანი ნაწერი  
ფიქრები“ /1803-1804 წწ./.

თეიმურაზ ბაგრატიონი თანდათან რწმუნდებოდა, რომ მის გეგმას  
განხორციელება არ ეწერა; ამ მდგომარეობას ირანის ახალი მარცხიც და-  
ერთო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში /1808-1810 წწ./ ამიტომ თეიმუ-  
რაზ ბაგრატიონმა გამოქცევით უშველა თავს: „წელსა 1810 სეკტემბრის  
14 წამოვედით ერევნის მამულით არეზისა და ყარსუს შესაყარით“<sup>6</sup>.

თეიმურაზი მეორე დღეს მხლებლებითურთ გამოცხადდა რუსეთის სა-  
ნაპირო ჯარის ნაწილში, 1810 წლის 4 ოქტომბერს მან თხოვნით მიმართა  
გაეგზავნათ პეტერბურგში. არც დააყოვნეს, მთავარმართებლის ხაზინი-  
დან თეიმურაზის გასამგზავრებლად გამოუყვეს 4500 ასიგნაცია /ქალაქ-  
ლის ფული/ თეიმურაზის ამალაში ოჯახის წევრების გარდა, სხვა რამდე-  
ნამე კაციც შედიოდა.

1810 წლის 16 ოქტომბერს თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისიდან პეტერ-  
ბურგს გაემგზავრა მან დაწვრილებით აღწერა მოგზაურობის მარშრუტი  
და საბოლოოდ გააფორმა დღიურების სახით „მოგზაურობა ტფილისიდან  
პეტერბურგამდის“<sup>7</sup>. თეიმურაზის მოგზაურობის მარშრუტი თითქმის ემ-  
თხვევა ნიკოლოზ ონიკაშვილის ასეთივე ხასიათის მოგზაურობას, რომე-  
ლიც ახლდა ქართველ ბატონიშვილებს.

თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისიდან გავიდა და მცხეთის შემდეგ ჯი-  
ჭურულთკარის, ანანურის, ფასანაურის, კაიშაურის, კობის, სტეფანწმინ-  
დის /ყაზბეგი/ გავლით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა ეს გზა დღევან-  
დელ საქართველოს სამხედრო გზას ემთხვევა. ვლადიკავკავიდან /ორჯონ-  
იძიძე /გაიარა მოზდოვი, ეკატერინოგრადი, სტავროპოლი, ძველი და  
ახალი ჩერქეზი და ღონის აყოლებით ვორონეჟი, მივიდა ტულაში და მოს-  
კოვში, საიდანაც ტვერისა და ცარსკოე სელოს გავლით 1811 წლის 12 იან-  
ვარს პეტერბურგში ჩავიდა.

მოგზაურობის ტექსტი შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას; მასში სა-  
უცხოოდაა აღწერილი ყველა ის ქალაქი, სოფელი და ადგილი, რომელიც

გაიარა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტულის სამხედრო ქაოჩნებას, მოსკოვის თეატრისა და რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების ამბავი, ცარსკოე სელოს სასახლის აღწერა და სხვა თხზულებაში მოხსენიებული ისტორიული პირები და მათთან საუბრები. ვორონეჟის აღწერის დროს მოცემულია რუსული ყოფისა და წეს-ჩვეულებების ზოგიერთი მომენტი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მსგავსი ნაშრომები აქვთ გაბრიელ რატიანს— „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ და გრიგოლ ორბელიანის — „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“.

1811 წლის 22 იანვარს აღექსანდრე პირველმა დიდი პატივით მიიღო თეიმურაზ ბაგრატიონი ზამთრის სასახლეში: „... მოვედით პეტერბურგს, წარვდგით იმათ იმპერატორობითის დიდებულებას წინაშე პატივისცემით წელსა 1811, იანვრის 22 კვირიაკეს“. იმავე წლის 31 მარტის ბრძანებით კი აღექსანდრე იმპერატორმა თეიმურაზი დააჯილდოვა წმინდა ანასი ხარისხის ორდენით, ხოლო მის მეუღლეს (ელენე ამილახვარი), იმპერატორის თანხმობით, წმინდა წამებულ ეკატერინეს მცირე ჯვრის ორდენი უბოძეს.

XIX საუკუნის 20-იან წლებში პარიზში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მარი ბროსე, რომელიც დაინტერესებული იყო ქართველოლოგიით. ამ მიზნით 1829 წელს მან პეტერბურგში ქართულ ენაზე გაუეზავნა წერილი თეიმურაზ ბაგრატიონს. თეიმურაზმა, თავის მხრივ თანხმობა განუცხადა დახმარებაზე. ამის შემდეგ თეიმურაზსა და მარი ბროსეს შორის გაიმართა მიმოწერა. უფრო მეტიც, თეიმურაზმა ქართული წიგნებით მოამარაგა მარი ბროსე და მრავალ საკითხში კვალიდუციური კონსულტაცია გაუწია. თავის მხრივ, მარი ბროსემ რამდენიმე ქართული წიგნი, მათ შორის თეიმურაზ ბაგრატიონის დაწერილი წიგნები, დაბეჭდა პარიზში.

1836 წლის 14 დეკემბერს მარი ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად /თანაშემწე/, რაც იმპერატორმა 1837 წლის 4 აპრილს დაამტკიცა. იმავე წლის 18 ივნისს იგი ოჯახით ჩამოვიდა პეტერბურგში.

შემდეგშიც ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ ბაგრატიონს აკადემიკოს მარი ბროსესთან, რომელიც თავის თავს თეიმურაზის მოწაფედ თვლიდა.

პეტერბურგში თეიმურაზი მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი პატრონობდა ქართულ ხელნაწერ წიგნებს. მისი ნახაზების მიხედვით მარი ბროსემ პარიზიდან ჩამოიტანა ახალი ქართული მხედრული შრიფტის

მატრიცები. თეიმურაზის მიერ შექმნილი ქართული შრიდტით არის აწყობილი 1841 წლის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, და ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ /1840 წ./ და „ქართული ქრესტომათია“ /1846 წ./, თა. ბაგრატიონის „ისტორია ივერტიისა“ /1848 წ./, ვახუშტი ბატონიშვილის „ლეონრაფიელი აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტისაგან“ /1842 წ./ და სხვა.

1836 წლის 26 მაისს თეიმურაზ ბაგრატიონი სამკურნალოდ პეტერ-ზურგიდან ევროპაში გაემგზავრა. მას თან ახლდნენ მკურნალი ექიმი კაპელერი, მისი ამალის წევრი დავით ალიბეგაშვილი და ივანე ლაჭია. ამ მოგზაურობის შემდეგ მან დაწერა შთაბეჭდილებათა წიგნი „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“. მოგზაურობის ტექსტი /ისიც ნაკლულად/ მხოლოდ 1944 წელს დაიბეჭდა. მოგზაურობისას გზად გაიარა ესტონეთი, ლაფლანდია, კურლანდია, პრუსია, პომერანია, მეკლენბურგია. იმავე წლის 17 ივნისს ბერლინში ჩავიდა. ბერლინიდან კი ბოჰემიაში გაემგზავრა და 27 ივნისს კარლსბადში/ახლანდელი კარლოვი-ვარი/ დამარიამბადში მივიდა. თეიმურაზი აქ თითქმის ორ ნახევარს თვე დარჩა. მოგზაურობის ტექსტი სწორედ აქ წყდება. მაგრამ ბერლინიდან მარი ბროსესადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ თეიმურაზი საქსონიისა და ვეიმარ-ლაიპციგზე გაგლით 3 ოქტომბერს ბერლინში დაბრუნდა. ბერლინში იგი დიდი პატივით მიიღეს პრუსიის იმპერატორის ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ის ოჯახში. აქვე თეიმურაზმა იმპერატორს მიუძღვნა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“ მინაწერებით. ხოლო ტახტის მემკვიდრე ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ს ბროსეს მიერ 1834 წელს პარიზში გამოცემული „ხელოვნება აზნაურებითი, ვინა ქართულისა ენისა თუად-მასწავლებელი.“

თეიმურაზ ბაგრატიონი ბერლინში 26 ოქტომბრამდე დარჩა, შემდეგ კი იმავე მარშრუტით ნოემბრის ბოლოს დაბრუნდა პეტერბურგში, რასაც გვამცნობს ერთ-ერთი მინაწერი „... იქიდან მობრუნებული მოველ პეტერბურგს ნოემბრის გასულ“.

თეიმურაზის „მოგზაურობა ევროპაში“ დღიურების სახითაა დაწერილი. მასში გადმოცემულია მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბუნების აღწერა, ქალაქებზე ცნობები, ასევე დეტალურად აღწერს კარლსბადისა და მარიამბადის მინერალურ წყლებს. „მარიამბადში... ისეთი წყლები არის სანიადაგო სასმელი, რომ უკეთესი გემრიელი, შემრგო და წმინდა წყალი თუ არ საქართველოში, სხვაგან არ-  
58

სად მინახავს“. განსაკუთრებთ აღსანიშნავია ბოჰემიის /ჩეხეთი/ მხარე  
აღწერა, რაზედაც დაწვრილებით ჩერდება „ბოლემიის ქვეყანა ბუნებით  
ფრიად მავარი არს, დიდ—დიდთა შთათა გორათა, ხევთა კლდერთა, იწ -  
როთა გზათა და შესავალთა და ტყეთა მიერ“.

თემურაზ ბაგრატიონს ფართო გეოგრაფიული ჰორიზონტი ჰქონდა.  
მან შექმნა ერთ—ერთი შესანიშნავი ქართული ლიტერატურულ—გეოგრა-  
ფიული ძეგლი „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა და სხვათა და სხვათა ადგილ-  
თა“. იგი საინტერესო ცნობარია იმდროინდელი ევროპის რიგი ქალაქების,  
ქვეყნების მეურნეობასა და ყოფა—ცხოვრების ვასაცნობად.

პეტერბურგში ყოფნის დროს თემურაზმა თარგმნა არისტოტელის,  
ტაციტის, ციცერონის, ვოლტერის, პუშკინის, დოსთოეფ პატრაარქის და  
სხვათა ნაწარმოებები, იგი წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს, კრეფდა  
ქართული ხალხური სიტყვიერების მასალებს. შექმნა ნაშრომები საქარ-  
თველის ისტორიისა და წერილობითი წყაროების შესწავლაში, რუსთა -  
ველოლოგიაში, პოეტიკაში, ლექსიკოგრაფიაში და სხვა.

დიდი იყო თემურაზ ბაგრატიონის დამსახურება შეცნეობაში, ამი-  
ტომ მისი ღვაწლი სათანადოდ დაფასესა ჯერ კიდევ 1814 წელს აირჩიეს  
ახლად დაარსებულ რუსეთის ბიბლიოთეკის საზოგადოების წევრად, 1831 წელს  
ჩაირიცხა პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად, 1837 წლის 29 დეკემ-  
ბერს აკადემიის საერთო კრებაზე თემურაზი აირჩიეს რუსეთის სამეც -  
ნიერო აკადემიის საპატიო წევრად და სხვა.

1845 წლიდან თემურაზის ჯანმრთელობა გაუარესდა. 1846 წლის 25  
ოქტომბერს /5 ნოემბერს/ იგი პეტერბურგში ვარდაიცვალა დაკრძალეს  
აღესპანდრე ნეველის დაფრაში. წმინდა თევდორეს ეკლესიაში დაკრძალ-  
ვაზე სიტყვა ქართულად წარმოსთქვა მარი ბროსიმ.

X X X

ერთა სიავისაგან გადარჩენილი ქართულ გეოგრაფიულ და სამოგზა-  
რო ნაშრომთა მემკვიდრეობას დიდი როლი ენიჭება ქართული ენოლოგიის  
ისტორიის აღსადგენად. მნიშვნელოვანია ეროვნული გეოგრაფიული და  
სამოგზაურო სამეცნიერო—ლიტერატურული მემკვიდრეობის ღირებულე-  
ბა, ზოგი მათგანის მნიშვნელობა სცილდება ეროვნულ ფარგლებს და მსო-  
ფლიო ნაწარმოებთა გვერდით იკავებს ღირსეულ ადგილს.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

**ავალიშვილი ვა** — მღვწავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაუტოო ე. მეტრეველმა, თბ., 1967.

**აკოფაშვილი ჯ** — ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977.

**ბატონიშვილი თ.** — მოგზაურობა ჩემი ეგროპიისა და სხვათა და სხვათა ადგილთა, თბ., 1944.

**ბატონიშვილი ი.** — კალმასობა, II, თბ., 1948

**გაბაშვილი ვა** — სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. საიუბილეო კრებული, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959.

**გაბაშვილი ტ.** — მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთეასკან, პლ. ოსელიანის გამოცემა, თბ., 1852.

**გაბაშვილი ტა** — „მიმოსვლა“, ე. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956.

**დანიბეგაშვილი რა** — მოგზაურობა ინდოეთში თარგმნა წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1950.

**დონდუა და** — სულხან-საბა ორბელიანის ეგროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული ნიშნელობა, საიუბილეო კრებული, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959.

**ზარდალიშვილი ვა** — გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966.

**თამარაშვილი მ.** — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილ საბუთების შემოტანით და განმარტებით, ტფ., 1902.

**კარიშვილი ო.** — რა დანიბეგაშვილის მესამე მოგზაურობა ვაზა „კომუნისტი“, 30. VII. 1964.

**კეკელიძე კა** — ნიკიფორე ირბახი, ინიციატორი ქართული სტამბისა რომში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945.

**კეკელიძე კა** — ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951.

**კიკვიძე ა.** — სულხან-საბა ორბელიანი და მისი „მოგზაურობა ეგროპაში“, ლიტერატურული ნარკვევები, სოხუმი, 1970.

**ლეონიძე გ.** — სულხან-საბა ორბელიანი. გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958

მარტაშვილი ლა. — ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1954.

მენაბდე ლა. — სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1953.

მესხია შ. — რაფიელ დანიბეგაშვილი, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 45.

მიმოსვლა ანუ მოგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, პლაიოსელიანის გამოცემა, თბ., 1852.

ონიკაშვილი ნ. — მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდე კა კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H-2810, S-5082.

ორბელიანი სულხან-საბა. — მოგზაურობა ევროპაში, სა იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, თბ., 1971.

პლოსკინი ვა. — ახალი მასალები დანიბეგაშვილის მოგზაურობაზე ინდოეთში, ჟურნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1969, № 1, 3.

რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში, თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში, თბ., 1963.

ტაბაღუა ი. — ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები, მაცნე 1966, № 6.

შარაძე გა. თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972.

Orbeli P. — К литературной истории "Путешествия в Индию Рафаила Данибегова", Страны и народа Востока, вып. V, М., 1967.

Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова, М., 1815.

Путешествие Рафаила Данибегашвили, М., 1961.

Путешествие Рафаила Данибегашвили, М., 1969.

Реклю Э. — Земля и люди. Всеобщая география, т. IX и X, СПб. 1899.

Хаханашвили А. С. — Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова, очерки по истории грузинской словесности, 3, лит. XIII—XVII вв. М., 1901.

Книга мудрости и лжи. Саввы—Сулхан Орбелиани. Перевод и объяснения А. Цагарели. Санкт-Петербург 1878.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართველი მოგზაურები მსოფლიო არენაზე . . . . .	3
ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ევროპის გარშემო . . . . .	5
სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში . . . . .	11
ტიმოთე გაბაშვილის მიმოსვლა . . . . .	19
ათი წელი მოგზაურობაში . . . . .	25
სამი ათეული წელი აზიის ქვეყნებში . . . . .	32
ნიკოლოზ ონიკაშვილის პეტერბურგული დღიურები . . . . .	40
მოგზაურობა პირამიდების ქვეყანაში . . . . .	45
თეიმურაზ ბაგრატიონი სპარსეთში, რუსეთსა და ევროპაში . . . . .	54
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	60

რედაქტორი ლ. ა. მ. ა. შ. უ. კ. ე. ლ. ი.  
სამხატვრო რედაქტორი ელ. ს. უ. ლ. თ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.  
ტექნიკური რედაქტორი მ. ა. მ. ი. რ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.  
უფროსი კორექტორი მ. ო. დ. ი. ლ. ა. ვ. ა. დ. ე.  
კორექტორი ნ. ჩ. ხ. ი. კ. ვ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.  
მაკეტი გა. ა. ბ. რ. ა. მ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ა.  
ოპერატორი ნ. მ. ა. ს. ხ. უ. ლ. ი. ა.

რუკა კარტოგრაფიულად გააფორმა ნ. გ. ა. მ. ც. ე. მ. ლ. ი. დ. ე. მ.

H/K

აიწყო გამომცემლობა „განათლებაში“

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.09.87; ქალაქის ზომა  
60x84<sup>1/16</sup> საბეჭდი ქალაქი ოფსეტის, ბეჭდვა ოფსეტური, ნაბ.  
თაბ. 4+ 0,125 ფ. რუკა; პირ ნაბ. თაბ. 3,72+0,93 ფ. რუკა; პირ.  
საღებავგატარება 11,63; სააღრიცხვ. საგამომც. თაბ. 3,21+1,05  
რუკა.

YՅ 10336

ტირაჟი 10 000

შეგ. № 3192

ფასი 40 კაპ.



Харадзе Коба Павлович  
Грузинские путешественники  
XVII—XIX веков

(на грузинском языке)

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.  
Издательство "Ганатлеба", Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნით  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის რუსთავეის პოლიგრა-  
ფიული საწარმოო გაერთიანება. თოდრიას ქ. №11

Руставская ППО Государственного комитета Грузинской ССР по делам  
издательств, полиграфии и книжной торговли. ул. Тодриа №11



# XVII-XIX სს. ქართველ მოგზაურთა მარშრუტები



- მოგზაურბები
- 1626-1629EE
  - 1713-1716EE
  - 1755-1759EE
  - 1782-1792EE
  - 1799-1806EE
  - 1801EE
  - 1819-1820EE
  - 1803E, 1836E

ფასი 40 კაპ.

თ 325/15

